ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი
უნივერსიტეტი
30
მარტი,
ოთხშაბათი
2016 წ., №4

სამინისტროში მხარეებთან შეხვედრაზე თვითმმართველობის სტრუქტურის რეფორმაზე იმსჯელეს

23 მარტს 15[00] საათზე განათლებისა და მეცნიერების მინისტრი თამარ სანიკიძე „აუდიტორია 115-ის" სტუდენტებისა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრისას, ძირითადად, სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმის საკითხზე იმსჯელეს.

შეხვედრის შემდგომ, „აუდიტორია 115-ის" სტუდენტმა გიორგი არობელიძემ თქვა, რომ თვითმმართველობის რეფორმასთან დაკავშირებით პრინციპული შეთანხმებაა მიღწეული, რომლის თანახმადაც თვითმმართველობის არსებული სისტემა გარდაიქმნება. მისი თქმით, „აუდიტორია 115" სამუშაო რეჟიმზეა გადასული და სტუდენტები კონკრეტულ საკანონმდებლო ცვლილებებზე მსჯელობენ, რომელსაც უახლოეს მომავალში სამინისტროს წარუდგენენ. „მინისტრმა მოგვცა პირობა, რომ საკანონმდებლო ინიციატივას პარლამენტში დაჩქარებული წესით განიხილავენ. მაისში არის თვითმმართველობის არჩევნები. ცვლილებები ამ დრომდე უნდა შევიდეს კანონში, რომ არჩევნები სწორედ ამ ახალი რეფორმის თანახმად ჩატარდეს", – ამბობს არობელიძე.

„აუდიტორია 115-ის" სტუდენტების ხედვით, თვითმმართველობის არსებული სისტემა სრულიად უნდა გარდაიქმნას, რაშიც იგულისხმება, რომ თვითმმართველობის ფუნქცია მხოლოდ წარმომადგენლობით საბჭოებში მუშაობა დარჩეს. გარდა ამისა, მათი ხედვით, თვითმმართველობამ უნდა გააუქმოს პრეზიდენტის ინსტიტუტი და დეპარტამენტები. რაც შეეხება სტუდენტების საუნივერსიტეტო ცხოვრებას, სტუდენტებისთვის გამოყოფილი დაფინანსების საგრანტო-საკონკურსო კომისია უნდა შეიქმნას, რომ თანხა თავისუფალმა კლუბებმა გამოიყენონ, რომლებიც თავად დაგეგმავენ სხვადასხვა აქტივობებს.

სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის, შალვა საბაურის თქმით, კანონი უნივერსიტეტებს ისედაც აძლევს საშუალებას – თვითმმართველობის მოდელი თავადვე განსაზღვრონ, ამიტომ მიიჩნევს, რომ თვითმმართველობის მოდელის კანონში დაკონკრეტება ზედმეტია.

„მიზნები, რაც „აუდიტორია 115-ის" სტუდენტებმა გააჟღერეს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს თვითმმართველობის მოდელი, საკმაოდ პოზიტიურია. თუმცა, თვითმმართველობის არსებული მოდელი ბევრად უფრო აზღვევს სტუდენტს, რომ ამ მიზნებიდან გადახრა არ მოხდეს, ვიდრე მათ მიერ შემოთავაზებული. შევთანხმდით სამომავლო შეხვედრაზე, სადაც როგორც „აუდიტორია 115-ის" სტუდენტები, ასევე ჩვენც სამინისტროს საკანონმდებლო ინიციატივებს წარვუდგენთ", – ამბობს შალვა საბაური.

შეხვედრის დასასრულს მინისტრმა თამარ სანიკიძემ განაცხადა, რომ სასურველია თვითმმართველობის რეფორმა მაისამდე, არჩევნებამდე მოხდეს. მისი თქმით, სამინისტროში სტუდენტებისგან კონკრეტულ ინიციატივებს ელოდებიან, რომ მუშაობის აქტიურ რეჟიმზე გადავიდნენ.

„არ იქნება პრობლემური ცვლილებების განხორციელება, თუნდაც ამას ერქვას თვითმმართველობის გაუქმება. უბრალოდ, ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ სტუდენტების ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. ეს არის ის, რასაც ჩვენ გვეუბნება ბოლონიის პროცესი. ამაზე უამრავი დეკლარაციაა შექმნილი, რომელსაც სხვადასხვა ქვეყანა აწერს ხელს. ჩვენ ბოლონიის პროცესის წევრები ვართ და მხარს ვუჭერთ სტუდენტების ჩართულობას საუნივერსიტეტო ცხოვრებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუ როგორი იქნება ეს ჩართულობა, სწორედ ამაზე ვისაუბრეთ დღეს და ეს უნდა მივანდოთ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც უნდა იყვნენ ჩართული ამ პროცესში. არ ვფიქრობ, რომ თუ ამას ერქმევა სხვა სახელი და არა სტუდენტური თვითმმართველობა, ამით რაიმე დაშავდება", – თქვა თამარ სანიკიძემ.

სამინისტროში სამუშაო შეხვედრები და სტუდენტების მიერ დასახელებულ ყველა საკითხზე მსჯელობა გაგრძელდება.

ნომერში

მოვლენებები უნივერსიტეტში
გვ. 2-16

აკადემიური საბჭოს 3 წევრის ადგილზე (10-15 მარტის მოვლენების ცხელ კვალზე საბჭო დატოვეს მარიამ გერსამიამ და გიორგი გოგსაძემ; მანამდე — ნანა გაფრინდაშვილმა) არჩევნები 19 აპრილს ჩატარდება

რატომ ვეწინააღმდეგები თსუ-ის რექტორის გადადგომას

თსუ-ის პროფესორმა, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელმა, თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედკოლეგიის წევრმა იაგო კაჭკაჭიშვილმა, რომელიც 15 მარტისთვის საქართველოში არ იმყოფებოდა და ვერ შეძლო რექტორის მხარდამჭერ სხდომაზე მოსვლა, გაზეთის რედაქციას გამოუგზავნა წერილი, რომლის გამოქვეყნებაც გვთხოვა.

„საქართველოში არ ვარ. ამდენად, ამ წერილით შევეცდები მოკლედ და გასაგებად ვთქვა, ჩემი აზრით, რა პროცესებს დაუდო სათავე ლადო პაპავას რექტორად მოსვლამ თსუ-ში:

1. პირველად პოსტსაბჭოთა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში მოხდა, რომ რექტორი თსუ-ში არ დანიშნულა მთავრობის ხელდასხმით. მანამდე რექტორები ინიშნებოდნენ სახელმწიფოს პირველი პირის პირადი წარდგენით, მოვალეობის შემსრულებლებად და მერე ხდებოდა მათი სრულიად ფორმალური, უკონკურსო „არჩევა" აკადემიური საბჭოს მიერ. მოკლედ, ყოველთვის რექტორი იყო „მთავრობის კაცი" და მის სამსახურში იდგა.

2. სტუდენტური თვითმმართველობა ყოველთვის იყო ხელისუფლების „საცეცი" თსუ-ში, პრობლემებზე მოსაუბრე პროტესტანტ სტუდენტებს ატერორებდა და თავად უსაზღვრო პრივილეგიებით სარგებლობდა. ჯილდოს სახით, სტუდენტური თვითმმართველობის მაღალ ეშელონებში მყოფები იღებდნენ სერიოზულ თანამდებობებს სხვადასხვა უწყებაში, თსუ-ის ცენტრალური სტრუქტურებით დაწყებული, მინისტრთა კაბინეტით დამთავრებული. პაპავას მოსვლის

მე-3 გვერდზე

15 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

პროფესურის მონაწილეობით გამართული რექტორის მხარდამჭერი სხდომა თსუ-ში

„რექტორი გადადგეს! ვითხოვთ რექტორის იმპიჩმენტს!“, — ეს მოწოდებები 15 მარტს კვლავ გაისმოდა თსუ-ის პირველ კორპუსში რექტორატის წინ სტუდენტური თვითმმართველობის წევრების და მათი მხარდამჭერების მხრიდან. „115-ე აუდიტორიის სტუდენტური მოძრაობის“ წევრები კი დერეფნებში სკანდირებდნენ: — „არ გადადგე!“, „არ შეგეშინდეს!“, „გამაგრდი!“, „არ უღალატო უნივერსიტეტს!“. ამ ვითარების პარალელურად 15 მარტს ერთ-ერთ დიდ აუდიტორიაში უნივერსიტეტის პროფესორები, თანამშრომლები და სტუდენტური მოძრაობის წევრები რექტორის მხარდასაჭერად შეიკრიბნენ და მოსაზრებები და მოწოდებები გააჟღერეს. აუდიტორიაში შეკრებილნი იყვნენ პროფესორები: თამაზ გამყრელიძე, რევაზ გაჩეჩილაძე, რისმაგ გორდეზიანი, ელგუჯა ხინთიბიძე, ვახტანგ ლიჩელი, თამაზ ჯოლოგუა, გიორგი ოთხმეზური, თინათინ მარგალიტაძე, მანანა გელაშვილი, გიორგი გოგოლაშვილი, ინესა მერაბიშვილი, როლანდ თოფჩიშვილი და სხვა უამრავი ღირსეული პროფესორი თუ ადმინისტრაციის თანამშრომელი. სხდომას ვიცე-რექტორი დარეჯან თვალთვაძე უძღვებოდა. გთავაზობთ რექტორის მხარდამჭერ სხდომაზე გამომსვლელების კომენტარებს.

დავუჭიროთ მხარი უნივერსიტეტის რექტორს!

რევაზ გაჩეჩილაძე, პროფესორი: „სამწუხაროა, რომ მათ ბოლომდე არ აქვთ გაცნობიერებული, რა ანარქიული ვითარება შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტში. ამიტომ, ყველას მოგიწოდებთ, რომ შევინარჩუნოთ სიმშვიდე, დავუჭიროთ მხარი უნივერსიტეტის რექტორს, მსოფლიოში ცნობილ მეცნიერს ვლადიმერ პაპავას, რომელსაც შეუძლია გააგრძელოს მუშაობა და მიიყვანოს უნივერსიტეტი ისეთ კონდიციამდე, როდესაც ჩვენი უნივერსიტეტი იქნება მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო. რეგიონში იგი ნამდვილად არის ასეთი, მაგრამ გვინდა, რომ მსოფლიოშიც მისი სახელი უფრო წინ წავიდეს. ამისათვის, ჩვენ, ყველამ უნდა გავაკეთოთ ჩვენი საქმე.

მივმართავ თხოვნით ხელისუფლებას, რომ მოუწოდოს ამ სტუდენტებს სიტუაციის დალაგებისკენ

გიორგი ოთხმეზური, პროფესორი: „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს კანცლერი არ ჰყავს. თუ რექტორი გადადგა, არც რექტორი ეყოლება და ვინ უნდა მართოს უნივერსიტეტი? კანცლერის თანაშემწემ? უნივერსიტეტში დაიწყება აბსოლუტური ქაოსი. მე, პირადად, მივმართავ თხოვნით ხელისუფლებას და, უპირველესად, პრემიერ-მინისტრის, რომ მოუწოდოს ამ სტუდენტებს სიტუაციის დალაგებისკენ. შემდეგ კი ვისაუბროთ სხვადასხვა საკითხებზე. გუშინ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო შეიკრიბა, სადაც 14 წევრია. „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერები, რომლებიც აკადემიურ საბჭოში არიან, ამბობენ, რომ არ ვითხოვთ რექტორის გადადგომას, მაგრამ ასეთი სიტუაციაა და რა ვუყოთ იმ სტუდენტებს, რომლებიც რექტორის იმპიჩმენტს ითხოვენო? იქნებ, რექტორმა განცხადება წასვლაზე თვითონ დაწეროსო?! კითხვა მაქვს — მაშინ სტუდენტების მეორე ჯგუფს რა ვუყოთ, რომელიც ახლა ითხოვს, რომ დარჩეს რექტორი?! რექტორი რომ გადადგეს, დაიწყება ქაოსი. მერე აკადემიური საბჭოს წევრები თვითონ დაიბანენ ან სტუდენტებს შეაწმენდენ ხელს, ან რექტორს დააკისრებენ მთელ პასუხისმგებლობას — აი, შენმა გადადგომამ რა მოიტანაო.

მინდა, გადმოგცეთ მარიმ ლორთქიფანიძის აზრი. მან ერთხელ უკვე გააკეთა განცხადება, რომ რექტორს მხარს უჭერს. ახლაც დამავალა, გადმომეცა თქვენთვის — მარიამ ლორთქიფანიძე ამჟამადაც ამ პოზიციაზეა და რომ რექტორის გადადგომა დიდ ანარქიასა და ქაოსს გამოიწვევს უნივერსიტეტში“.

ჩვენ გვენატრებოდა ის პერიოდი უნივერსიტეტში, როდესაც რექტორთან საუბარი შეიძლებოდა

გიორგი გოგოლაშვილი, პროფესორი: „უნივერსიტეტს ახსოვს მძიმე დღეები, მაგრამ ის, რაც ხდებოდა ათიოდე წლის წინ, იყო გარე ძალებისა და უნივერსიტეტის დაპირისპირება. ვიღაცას არ ასვენებს უნივერსიტეტში სიმშვიდე. უნივერსიტეტი ის ძალაა, რომელსაც შესწევს საზოგადოებაზე ზემოქმედების დიდი უნარი. ყველა ის საქმე, რაც დაიწყო უნივერსიტეტიდან, გამარჯვებით დასრულდა. გაიხსენეთ 1978 წელი, 80-იანი წლების მეორე ნახევარი და ასე შემდეგ... ისიც გაიხსენეთ, არჩევნების წინა პერიოდში, როდესაც ციხის კადრები გავრცელდა, მაშინაც უნივერსიტეტის ძალა დაინახა საზოგადოებამ. მიმდინარე მოვლენები არ არის შემთხვევითი, დარწმუნებული ვარ, რომ სრულად პროვოცირებულია, თორემ დავბერდით ხალხი უნივერსიტეტში და აქ სტუდენტობა ერთმანეთს არ დაპირისპირებია. მოვუწოდებ იმ ახალგაზრდობას, დაპირისპირებულ მხარეებს, რომ დაიწყონ მოლაპარაკება. ჩვენ გვენატრებოდა ის პერიოდი უნივერსიტეტში, როდესაც რექტორთან საუბარი შეიძლებოდა. 2006 წლის ზაფხულში პროკურატურამ და სასამართლომ შავ დღეში ჩაგვაგდო, უნივერსიტეტის 9 პროფესორი გაგვასამართლეს, ვინაიდან რექტორთან საუბარი მოვისურვეთ. გვინდოდა, შეხვედრაზე აქტუალური საკითხები დაგვეყენებინა. დღეს გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვმართოთ სიტუაცია და მაინც ვერ ვახერხებთ საერთო ენის გამოძებნას? აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ახლოვდება არჩევნები და ვიღაცას უნდა სადავეები აიღოს ხელში. მე არ ვამბობ, რომ რექტორი მართალია, არ ვამბობ, რომ აკადემიური საბჭოა მართალი, მაგრამ მსურს, რომ შეხვდეთ რექტორსაც, აკადემიურ საბჭოსაც, წარმომადგენლობით საბჭოსაც, სტუდენტურ თვითმმართველობასაც და ვისაუბროთ. რომელი რექტორი მოდიოდა დიალოგზე — კვიტაშვილი თუ ხუბუა? დღეს არსებობს დიალოგის სურვილი, ამიტომ დავსხდეთ და ვილაპარაკოთ. ასე გადმოსროლილი — გადადექი! — რომელ საქმეს მოაგვარებს?! ვთქვათ და გადადგა რექტორი, ვიცით ვინ მოვა? მასთან დიალოგი შესაძლებელი იქნება? შესრულდება ის სამართლიანი მოთხოვნები, რასაც სტუდენტები აყენებენ?

ვერავინ დამაჯერებს, რომ უნივერსიტეტში წარმოქმნილი სიტუაცია გარედან მართული არ არის. ჩვენ უნდა ვაჩვენოთ, რომ ეს არის დედა უნივერსიტეტი, ჩვენი თავი ჩვენ უნდა გვეკუთვნოდეს. ვთხოვ ყველა მხარეს — დამშვიდდით და კალაპოტში ჩადექით. ეს სიტუაცია მხოლოდ დიალოგით უნდა დარეგულირდეს. გაფრინდაშვილის კანდიდატურის მოხსნის მოთხოვნას ჰქონდა საფუძველი, იგი არ გახლდათ თანამდებობის პირი. მას ჰქონდა სურვილი, რომ მოსულიყო და ემუშავა ამ პოსტზე. მე მაინც მგონია, რომ აკადემიური საბჭოს შეცდომაა, როდესაც ხელმეორე არჩევნები დაუშვა. ვფიქრობ, ეს იყო საგანგებოდ დაშვებული შეცდომა. შექმნილი ვითარება თუ კარგად არ ავწონ-დავწონეთ, ძალიან ცუდ ანკესზე წამოვეგებით. მივალთ ისეთ შედეგამდე, როდესაც უნივერსიტეტში მოვა ძალა, რომელიც ახლა გარედან ცდილობს უნივერსიტეტში სიტუაციის მართვას“.

ისინი ზონდერების ბრიგადებით გადაადგილდებიან უნივერსიტეტში

ანა კამლაძე, თსუ-ის სტუდენტი: „მე ვარ ერთი ჩვეულებრივი სტუდენტი და მინდა გითხრათ, რომ ძალიან მძიმე მდგომარეობაა. სტუდენტები დღეს არიან ერთ აზრზე — ჩვენ გვინდა ავტონომია, მშვიდობა და წესრიგი უნივერსიტეტში. ერთი პატარა პრივილეგირებული ჯგუფი, რომელიც არის ძალიან ძლიერი, რადგან კარგად ფინანსდება და წლების მანძილზე მაგრდება, როგორც ინსტიტუცია, იმუქრება უნივერსიტეტის დესტაბილიზაციით. ისინი ზონდერების ბრიგადებით გადაადგილდებიან უნივერსიტეტში და ჩვენზე ძალადობისთვის იყენებენ ყველა საშუალებას. ჩვენ ვართ შიშველი ხელებით, მივმართავთ დაცვის სამსახურს, რომ მიიღოს ყველა ზომა სიტუაციის გასაკონტროლებლად. მე პაპავას მხარს არ ვუჭერ იმის გამო, რომ მისდამი არ მაქვს პრეტენზიები, მე მას მხარს ვუჭერ იმის გამო, რომ მისი წასვლა დღეს უნივერსიტეტის ავტონომიის დაკარგვას გამოიწვევს და იგი გახდება კონტროლირებადი. ძალიან გთხოვთ, იყავით რადიკალურები და მკვეთრად დააფიქსირეთ თქვენი პოზიცია. აქ სხვა პოზიციაზე არის მხოლოდ პატარა მართული ჯგუფი, რომელსაც იყენებენ და რომელიც ვერ იაზრებს — რა ხდება“.

გემის ჩაძირვის დროს კაპიტანი არ უნდა წავიდეს!

ელგუჯა ხინთიბიძე, აკადემიკოსი: ძალიან მძიმე მდგომარეობაშია დღეს უნივერსიტეტი. უკვე გამოვლილი მაქვს, დაახლოებით, 4 გადატრიალება ამ უნივერსიტეტში და აქედან დაწყებული მთელ საქართველოში. ვერაფერს გეტყვით და დაგარიგებთ ისე, რომ ჩემმა სიტყვებმა პრობლემა გადაჭრას. თუმცა ვფიქრობ, პირველ რიგში, საჭიროა ახალგაზრდობამ ერთმანეთთან ისაუბროს, მათ უკან დგას უნივერსიტეტი, რომელიც შეიძლება ძალიან მარტივად დაინგრეს. ახლა, ამ სიტუაციას არც სტუდენტები, არც პროფესურა და არც რექტორატი მართავს, უმართავი ვითარებაა. ეს შეუძლია მართოს მხოლოდ იმ ძალას, რომლის შემოსვლა უნივერსიტეტში არავის უნდა. არც ექსპერტი ვარ, არც იურისტი და არც ძალიან ჩახედული თითოეული მიმართულების საქმეში, მაგრამ ვხედავ — რამდენად

მე-3 გვერდზე

15 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

პროფესურის მონაწილეობით გამართული რექტორის მხარდამჭერი სხდომა თსუ-ში

მეორე გვერდიდან

უმართავია მდგომარეობა. რასაკვირველია, მხარს ვუჭერ ახალგაზრდულ მოძრაობას, ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა. მხარს ვუჭერ იმ პიროვნებას, რომელმაც კანდიდატურის მოხსნა გადაწყვიტა. იგი ამბობს, რომ არ არის დამნაშავე. თუ პიროვნების ბრალეულობა არ მტკიცდება, არ უნდა გაილანძღოს! თუმცა, გაფრინდაშვილის ადგილზე უფრო ადრე მოვხსნიდი კანდიდატურას. როდესაც არ სურს უნივერსიტეტს, რომ უხელმძღვანელო, უნდა გადადგე.

მხარს ვუჭერ რექტორს, რომელიც ამბობს, რომ არ გადადგება. ვლადიმერ პაპავა არჩეული რექტორია და მას ევალება არ გამოვიდეს ბრძოლიდან ისევე, როგორც გემის ჩაძირვის დროს კაპიტანი არ უნდა წავიდეს. ასევე, მიმაჩნია, რომ უნდა შესრულდეს სტუდენტთა მოთხოვნა უნივერსიტეტში არსებული დარღვევების გამოძიების შესახებ. აკადემიურმა საბჭომ აქამდე მიიყვანა მდგომარეობა, მან უნდა მოითხოვოს სამთავრობო კომისიის შექმნა, რომელიც ამ სიტუაციას გამოიძიებს. მათ შორის, გამოიძიებს „ოდეერის“ წარმომადგენლების ყოფნას უნივერსიტეტში. მანამდე რექტორმა ჩვეულებრივად უნდა განაგრძოს მუშაობა, სტუდენტებმა კი მოლაპარაკებები დაიწყონ“.

უნდა დავიწყოთ დიალოგი

ცირა ბარამიძე, პროფესორი: „გუშინ მხოლოდ რამდენიმე პროფესორი ვიდექით დაპირისპირებულ მხარეებს შორის. გაიხსენეთ უძღები შვილის იგავი, სტუდენტების ორივე მხარე ჩვენი შვილია — შემცდარიც და შეუმცდარიც, ორივეს უნდა ვუპატრონოთ, მიუხედავად ჩვენი პოლიტიკური შეხედულებებისა, არ უნდა დავუშვათ კონფრონტაცია. გავმართოთ მათთან დიალოგი. სტუდენტური თვითმმართველობის წევრებთან მივედი და ველაპარაკე, მართალია, ნახევარი უნივერსიტეტელი არ იყო, მაგრამ ხომ იყვნენ უნივერსიტეტელებიც. ერთი კაციც რომ იყოს თსუ-დან, უნდა დავიწყოთ დიალოგი. ვისარგებლებ შემთხვევით და მივმართავ პრემიერ-მინისტრს, საქართველოს პრეზიდენტს, საკანონმდებლო ორგანოს — „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონში მნიშვნელოვანი შეცდომებია და ეს შემიძლია წერილობით მივაწოდო. მართებულია სტუდენტების მოთხოვნა, როდესაც ისინი ამბობენ, რომ რექტორი არ უნდა გადადგეს. რექტორმა თავისი მოვალეობა უნდა შეასრულოს, მიუხედავად გარედან მართული არაჯანსაღი მოქმედებებისა. ვთხოვ სტუდენტებს, რომ შეინარჩუნონ წესრიგი და დაიშალონ. მათი მთავარი მოთხოვნა უკვე შესრულდა, რაც შეეხება ავტონომიის საკითხს, კანონი კარგად ვიცი და ავტონომიის საკითხი ერთ და ორ დღეში ვერ მოგვარდება. აუცილებელია განიმუხტოს სიტუაცია, სტუდენტებს ვთავაზობ კონსტრუქციულ წინადადებას — მხარეებს დაკარგული აქვს ურთიერთნდობა, ეს არც არის გასაკვირი, ამიტომ ავირჩიოთ 6 ან 7 პროფესორი, 5-5 სტუდენტი ორივე მხრიდან და დავიწყოთ მოლაპარაკებები. მოვუწოდებ სტუდენტების ორივე მხარეს კომუნიკაციისკენ. არავის აძლევს ხელს ის, რაც დღეს უნივერსიტეტში ხდება“.

იცით რა არის ბატონი ლადოს სისუსტე?

მანანა ხარხელი, პროფესორი: „ხელისუფლების ჯანსაღი ძალა უჭერს მხარს ბატონ ლადო პაპავას და აქვს წინადადება, რომ იგი არ უნდა გადადგეს დაკავებული თანამდებობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ქაოსი დაიწყება. აქ არ არის ორი მხარე, უნივერსიტეტის ჯანსაღი ნაწილის უმრავლესობა მხარს უჭერს რექტორს და ერთი პატარა გუნდი არის მისი წინააღმდეგი, რომელიც კომკავშირლების გადმონაშთი ძალაა. უნივერსიტეტის თვითმმართველობაში არიან სტუდენტები, რომლებსაც უნდათ პრივილეგიები და უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან ფულის ხარჯვა. მივმართავ ყველას, ხელისუფლებას — გამოიძიოს 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს სად წავიდა ერთი მილიონი ლარი, რომელიც თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობისთვის იყო გამოყოფილი. იცით რა არის ბატონი ლადოს სისუსტე? ვისი მომხრეც უნდა იყოს უნივერსიტეტის თანამშრომელი, თუ მას დანაშაული აქვს ჩადენილი, არ უნდა დარჩეს დაკავებულ თანამდებობაზე. უნივერსიტეტიდან უნდა წასულიყვნენ ისეთი თანამშრომლები, რომლებსაც დანაშაული აქვთ ჩადენილი. 2010 წელს გამიშვეს უნივერსიტეტიდან იმის გამო, რომ ჩემს აზრს ხმამაღლა ვაფიქსირებდი. არ მინდა ისეთ საქართველოში ცხოვრება, სადაც ჩემი აზრის დაფიქსირების უფლება არ მექნება. ასეთ სიცოცხლეს მირჩევნია სიკვდილი! მოვუწოდებ ყველა პროფესორს, ყველა ჯანსაღ ძალას, ბატონი ვლადიმერ პაპავა არ უნდა გადადგეს. კიდევ მაქვს კითხვები — იცით რა არის დანაშაული? იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არჩილ კუკულავა ისევ რომ არის თანამდებობაზე! იგი ხომ იყო 2012 წელს კომისიის წევრი, ეს არის დანაშაული. ახლაც, გიორგი გაფრინდაშვილის არჩევას რომ აპირებდნენ, მანაც, ჩემი აზრით, სპეციალურად შეიყვანა შეცდომაში უნივერსიტეტის რექტორი, რომ ეს საქმე ასე გაკეთებულიყო და კანცლერის მეორე არჩევნები ჩატარებულიყო იმავე კონკურსის ფარგლებში. ყველაფერს დავარქვათ თავისი სახელი. არ არიან სტუდენტური თვითმმართველობის სტუდენტები ღირსები, რომ მათი პოზიციები გავიზიაროთ“.

რექტორი გადადგომას არ აპირებს!

რექტორის მხარდამჭერ აქციას მოგვიანებით თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა შეუერთდა, რომელიც დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგა.

ვლადიმერ პაპავა, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი: „მეგობრებო, კოლეგებო, სტუდენტებო, დღეს მართლაც ძალზედ მნიშვნელოვანი დღეებია ჩვენს უნივერსიტეტში და სრულიად საქართველოშიც. ჩვენი უნივერსიტეტი რომ რეზონანსულია, ეს ყველამ კარგად ვიცით. დღეს ძალზე სერიოზული საკითხი წყდება. წინასაარჩევნო პერიოდში ყველა დაინტერესებულია, გარკვეულწილად, პოლიტიკური პროცესები მართოს და ამისთვის გამოიყენოს უნივერსიტეტი. ასე იყო და, სამწუხაროდ, ახლაც ასეა. აშკარად ჩანს, რომ პროცესები გარკვეული ძალების მიერ არის მართული, რომელიც, საბოლოო ჯამში, უნივერსიტეტს სავალალო შედეგამდე მიიყვანს. რაც შეეხება რექტორის პოზიციას, რექტორი სრულად აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას — რას ნიშნავს დღეს იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რომლის ერთიანობა და მთლიანობა საფრთხის წინაშე დგას. იქიდან გამომდინარე, რომ ინსტიტუციურად რექტორი არის პირველი პირი, რექტორი გადადგომას არ აპირებს!

მე აქ ვხედავ არა მარტო ჩვენს პროფესორებს, არამედ ჩვენი ადმინისტრაციის თანამშრომლებს, რომელთაც, გთხოვთ, მიიტანოთ ჩემი პოზიცია ყველა თქვენს კოლეგამდე. არ არის დღეს ის სიტუაცია, რომ რექტორი გადადგეს — ეს დაანგრევს უნივერსიტეტს. ჩვენ, ყველას, ერთობლივად გვჭირდება მხნეობა, გონიერება და ქალბატონმა ცირამ სწორად ბრძანა, ვინც უნდა იყოს გარედან ჩარეული უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებში, ორივე მხარეს ჩვენი სტუდენტები არიან. მათ ყველანაირად უნდა გავუფრთხილდეთ და გვქონდეს მათთან კომუნიკაცია.

დღეს უნივერსიტეტში პოლიციაა — ეს ძალიან ცუდია, მაგრამ პოლიცია რომ გავიყვანოთ, კიდევ უარესი სურათი შეიძლება მივიღოთ უნივერსიტეტში, რადგან დაპირისპირება საკმაოდ სერიოზულია. ვაცნობიერებ მთელ პასუხისმგებლობას, რომელიც აქვს უნივერსიტეტს და მის ხელმძღვანელობას პოლიციის უნივერსიტეტში არსებობასთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა გზა, რომ დაგვეშორიშორებინა დაპირისპირებული სტუდენტები, არ იყო. ეს გადაწყვეტილება მივიღეთ არა სპონტანურად, არამედ ვითარების გაანალიზების შედეგად.

ძვირფასო მეგობრებო, დიდი მადლობა მხარდაჭერისთვის. ჩემი მხარდაჭერით, ფაქტობრივად, მხარს უჭერთ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის ხვალინდელ დღეს. კარგად გამიგეთ, არ მინდა ჩემი თავი გავუტოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მაგრამ, ამ ვითარებაში, როგორი კანონიც გვაქვს და რა ვითარებაც არის, რექტორის გადადგომით ზიანი მიადგება უნივერსიტეტს. ეს მაძლევს უფლებას, ვთქვა, რომ ჩემი მხარდაჭერა, როგორც რექტორის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მხარდაჭერაა. ყველას მოგიწოდებთ სიმშვიდისკენ. არ მინდა, რომ კოლეგებს შორის არსებულმა განსხვავებულმა აზრმა კონფრონტაცია გამოიწვიოს. ჩვენ ჩვენი საქციელით სტუდენტებს მაგალითი უნდა მივცეთ და დავდგეთ პოლიტიკურ ინტერესებზე მაღლა. ქვეყანა დამუხტულია, ქვეყანა მიდის არჩევნებისკენ. რომელი არჩევნები ჩატარებულა საქართველოში სპეციალურად გაზრდილი მუხტის გარეშე? ასეთი რამ არ ყოფილა. ვიცით, რა სიტუაციაც არის ქვეყანაში, ვერც ერთ კონკრეტულ პოლიტიკურ ძალას ვერ დავადებ ხელს. თუმცა, აშკარად არიან პოლიტიკური ძალები, და არა მარტო პოლიტიკური ძალები, ვისაც აწყობს არეულობა. არსებობენ ქვეყნის მტრები, რომლებსაც აწყობთ არეულობა. ეს მტრები არიან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე გარეთაც. ერთსულოვნება, მტკიცედ და ერთად დგომა არის ერთადერთი გამოსავალი, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა შეინარჩუნოს მთლიანობა და სრულიად საქართველოს ანახოს, რომ, აზრთა განსხვავებულობის მიუხედავად, ჩვენ, ყველანი, ერთად ვართ. სხვა გამოსავალი მცირერიცხოვან ერს და მის წამყვან უნივერსიტეტს, უბრალოდ, არ გვაქვს. მადლობა მხარდაჭერისთვის!

მოამზადა ნინო კაკულიამ

რატომ ვეწინააღმდეგები თსუ-ის რექტორის გადადგომას

პირველი გვერდიდან

შემდეგ სტუდენტურ თვითმმართველობას განსაზღვრული პრივილეგიები (მაგ., სავალდებულო პირდაპირი დაფინანსება) მოეხსნა და მისი, როგორც „ხელისუფლების ახალგაზრდული უჯრედის“, სტიგმაც შესუსტდა (თუმცა, სამწუხაროდ, არ გამქრალა).

3. უნივერსიტეტის რექტორის სახელისუფლებო გავლენისგან გათავისუფლებას და სტუდენტური თვითმმართველობის სტიგმის შესუსტებას მოჰყვა პოზიტიური ძვრები უნივერსიტეტის ცალკეული სტრუქტურული ერთეულების და, ზოგადად, უნივერსიტეტის ავტონომიის გაძლიერების მიმართულებით. მაგალითად, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ თსუ-ის გაზეთის რედაქციის საქმიანობაში არავინ ერევა, სტატიები აღარ ექვემდებარება ცენზურას (2012 წლამდე გაზეთის რედაქციაში არსებული სიტუაციისგან განსხვავებით). ასევე, სტუდენტებმა და რექტორმა ღიად განაცხადეს თსუ-ში უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლის უკანონო არსებობის შესახებ, რაც უპრეცენდენტო შემთხვევაა ავტონომიის დაცვის მოთხოვნის თვალსაზრისით.

4. უნივერსიტეტი თანხებს ხარჯავდა მხოლოდ სწავლებაში, კვლევაში – თითქმის არასოდეს. ცხადია, თსუ-ის პროფესორები კვლევებს აკეთებდნენ, მაგრამ ეს ხდებოდა ან პირადი ენთუზიაზმის ხარჯზე, ან უნივერსიტეტის გარეთ არსებული ფონდების დახმარებით. ბოლო ორი წელია, რაც ფაკულტეტებს კვლევაზე მნიშვნელოვანი თანხები გამოეყო თსუ-ის ბიუჯეტიდან, შედგა კომისიები და პროექტები შეირჩა საკონკურსო წესით. რაც მთავარია, კვლევით პროექტებში სრულფასოვნად არიან ჩართულები სტუდენტები (პირველ რიგში – დოქტორანტები).

5. უნივერსიტეტის პროფესურა არასოდეს ყოფილა ანგარიშვალდებული, რომ პროფესორის სტატუსის (რომელიც სწავლებასთან ერთად კვლევასაც გულისხმობს) შესატყვისი პროდუქტი შეექმნა და, ამდენად, დაესაბუთებინა საკუთარი პოზიტიური წვლილი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. შედეგად მივიღეთ ის, რომ თსუ-ის პროფესორს შეუძლია წლების განმავლობაში ერთი სტატიაც კი არ დაწეროს, ერთი კვლევაც კი არ ჩაატაროს, ერთ კონფერენციაშიც კი არ მიიღოს მონაწილეობა, თუმცა შეინარჩუნოს პროფესორის პოზიცია. თსუ-ში უკვე შემუშავდა მექანიზმი (ძალაში შევა 2017 წლის იანვრიდან), რომელიც ასეთ მავნე პრაქტიკას დაასრულებს. თსუ-ის პროფესორი კონტრაქტით და გაწერილად აიღებს ვალდებულებას, რომ სწავლებასთან ერთად სხვა (კვლევით, სუპერვაიზორულ, ადმინისტრაციულ და ა.შ.) საქმიანობებსაც შეასრულებს და ამ ვალდებულების მიმართ სწორება მის თანამდებობრივ და ფინანსურ უზრუნველყოფაზე აისახება (აღნიშნული მექანიზმის ინიცირების მიმართ პირადად მე ცალკეული შენიშვნები მაქვს, რამაც მის სრულყოფას უნდა შეუწყოს ხელი, თუმცა ეს სხვა მსჯელობის საგანია).

ეს ჩამონათვალი შეიძლება გაგრძელდეს. მე აღვნიშნე ის პოზიტიური ცვლილებები, რაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია და რაც ვლადიმერ პაპავას რექტორობის პირობებში განხორციელდა. ცხადია, თსუ-ის წინაშე ბევრი მოუგვარებელი პრობლემაა. რეფორმები შეიძლებოდა უფრო სწრაფი და მასშტაბური ყოფილიყო. თუმცა, იმისი დაუნახაობა, რაც გაკეთდა, უსამართლობაა. აქედან გამომდინარე, ვერ დავუჭერ მხარს ლადო პაპავას გადადგომის მოთხოვნას, რადგან არსებობს მაღალი რისკი, რომ ეს დააზარალებს საერთო გარემოს თსუ-ში და სასიკეთო ძვრებს მოაშთობს.

იაგო კაჭკაჭიშვილი,
თსუ-ის პროფესორი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულების ხელმძღვანელი, გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედკოლეგიის წევრი.

15 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

თვითმმართველობა რექტორის კაბინეტში შეიჭრა

15 მარტს, როდესაც რექტორი ლადო პაპავა თავის სამუშაო ოთახში არ იმყოფებოდა, თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრთა ნაწილი რექტორის კაბინეტში შეიჭრა და პროტესტის ნიშნად შიმშილობა დააანონსა. მოთხოვნა უცვლელი იყო — „პოსტი დატოვოს რექტორმა!“. რექტორი თანმხლებ პირებთან ერთად მალევე დაუბრუნდა თავის კაბინეტს, სადაც შეჭრილ სტუდენტებთან მივიდა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს დიალოგის დაწყება შესთავაზა.

პრემიერ-მინისტრმა შინაგან საქმეთა და განათლების მინისტრებს კონკრეტული დავალება მისცა

15 მარტს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თსუ-ში უსაფრთხოების ზომების გაძლიერებისკენ მოუწოდა, განათლების მინისტრს კი დაავალა - დაუყოვნებლივ უზრუნველეყო შეხვედრის ორგანიზება სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალსა და ხელმძღვანელ პირებთან.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა განცხადება გაავრცელა, რომელშიც განმარტა, რომ მთავრობა ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროცესი დაუბრუნდეს ნორმალურ კალაპოტს.

„პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ პატივს ვცემ ჩვენი ახალგაზრდების სწრაფვას და სურვილს, უნივერსიტეტი იყოს რეალურად ავტონომიური და გაჯანსაღდეს საუნივერსიტეტო ცხოვრება.

მას შემდეგ, რაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვითარება უკიდურესად დაიძაბა და სტუდენტური პროტესტი რიგ შემთხვევებში სრულიად მიუღებელ მოქმედებებში გადაიზარდა, მთავრობა ვალდებულია მიიღოს ყველა ზომა, რათა სასწავლო პროცესი დაუბრუნდეს ნორმალურ კალაპოტს. იმისათვის, რომ კიდევ უფრო არ გამძაფრდეს სიტუაცია და პროცესები უმართავი არ გახდეს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიიღო დავალება სასწრაფოდ განმუხტოს ვითარება და გააძლიეროს უსაფრთხოების ზომები.

მოვუწოდებ ყველა მხარეს, მათ შორის ჩვენს ახალგაზრდებს, გამოიჩინონ კეთილგონიერება, რათა პროცესები გადავიდეს მშვიდ და ცივილიზებულ ფორმატში.

ვინაიდან უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ ვერ უზრუნველყო პროცესების იმგვარად წარმართვა, რომ ყველა დაინტერესებულ მხარეს, მათ შორის სტუდენტებს, მშვიდ და სტაბილურ გარემოში შეძლებოდათ საკუთარი აზრის დაფიქსირება და მათი პოზიცია ყოფილიყო სათანადოდ გააზრებული, ვავალებ განათლების მინისტრს თამარ სანიკიძეს, დაუყოვნებლივ უზრუნველყოს შეხვედრის ორგანიზება პარიტეტულ საწყისებზე სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და ხელმძღვანელ პირებთან, რათა მოხდეს შექმნილი პრობლემის უმოკლეს ვადებში გადაჭრა.

დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ახალგაზრდების პოზიცია და მონაწილეობა იმ ახალი რეფორმის შემუშავებაში, რომლებსაც ჩვენ ვგეგმავთ განათლების სისტემაში. მხოლოდ ერთიანი ძალით – დარგის სპეციალისტების და სტუდენტების მონაწილეობით შევძლებთ შევიმუშაოთ ისეთი რეფორმა, რომელიც რეალურად შეცვლის განათლების სისტემას", — ნათქვამია პრემიერ-მინისტრის განცხადებაში.

პრემიერ-მინისტრის განცხადებას თსუ-ის რექტორი გამოეხმაურა

„შექმნილი ვითარების შესატყვისი“ უწოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის განცხადებას თსუ-ში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით. რექტორის თქმით, „პრემიერ-მინისტრის განცხადებამ მხარეთა შორის დიალოგის წარმართვის კონტექსტსა და ფორმატს გარკვეული მიმართულება მისცა. არ შეიძლება ასეთი დაძაბული სიტუაცია გაგრძელდეს და უნივერსიტეტში არ დამყარდეს წესრიგი, არ გადავიდეს მისი ფუნქციონირება ნორმალურ კალაპოტში.“

შეხვედრა განათლების სამინისტროში

თსუ-ში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შინაგან საქმეთა სამინისტროს თსუ-ში უსაფრთხოების ზომების გაძლიერება და ვითარების განმუხტვა დაავალა. მან შექმნილი პრობლემის უმოკლეს ვადაში გადასაჭრელად განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს უნივერსიტეტის სტუდენტებთან, აკადემიურ პერსონალთან და ხელმძღვანელ პირებთან პარიტეტულ საწყისებზე შეხვედრის ორგანიზება სთხოვა.

საღამოს 7 საათზე განათლების სამინისტროში ეს შეხვედრა შედგა, თუმცა მინისტრთან თამარ სანიკიძესთან სასაუბროდ მხოლოდ თსუ-ის რექტორი ვლადიმერ პაპავა, რექტორის მოადგილე მერაბ ელიაშვილი, აკადემიური საბჭოსა და სენატის წევრები და სტუდენტური თვითმმართველობის წევრები მივიდნენ. შეხვედრაზე დასწრება გააპროტესტეს „აუდიტორია 115“-ის წევრებმა იმ მოტივით, რომ მათ არ სურდათ ე.წ. „არალეგიტიმურ ორგანიზაციად“ დასახელებული თვითმმართველობის წევრებთან ერთად მრგვალ მაგიდასთან დასხდომა.

„აუდიტორია 115“-ის წევრებს მინისტრის მოადგილე თსუ-ში შეხვდა

გვიან ღამით „აუდიტორია 115“-ის წევრებთან შესახვედრად სამინისტროდან განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე გიორგი შარვაშიძე უნივერსიტეტში მივიდა და პროტესტანტ სტუდენტებს მოუსმინა.

115-ე აუდიტორიაში აქციის შესაწყვეტად სტუდენტებმა შემდეგი მოთხოვნები ჩამოაყალიბეს: 1) თუ თვითმმართველობა წავა კომპრომისზე და შეწყვეტს აქციას, „პლატფორმა 115-ე აუდიტორიაც“ შეწყვეტს აქციას; 2) 2016 წლის მაისში დაგეგმილი თვითმმართველობის არჩევნებისთვის შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება; 3) სამუშაო კომისიის შექმნა, რომელიც იმუშავებს განათლების სისტემის რეფორმაზე (მათ შორის უნივერსიტეტებში ე.წ. ოდეერის არსებობის საკითხი).

16 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

„აუდიტორია 115“-ის წევრთა მოწოდება

პლატფორმა „აუდიტორია 115“-ის წევრები, რომელთა ძირითადი დევიზია — „ავტონომია უნივერსიტეტს!“ — 16 მარტს ორ ძირითად ჯგუფად დანაწილდა. მათი ერთი ნაწილი უნივერსიტეტის პირველი კორპუსის შიგნით — 115-ე აუდიტორიაში იყო განლაგებული, მეორე კი უნივერსიტეტის მარცხენა მხარეს – ჭავჭავაძის გამზირზე.

აქციის მონაწილეები ერთმანეთს ეკონტაქტებოდნენ ფანჯრებიდან, რომლებზეც გამოფენილი იყო ძირითადი ლოზუნგები: „ავტონომია უნივერსიტეტს!“, „აუდიტორია 115“. უნივერსიტეტის შიგნით და გარეთ მდგომი აქციის მონაწილეები ერთსულოვანნი იყვნენ ძირითად მოთხოვნებში ისე, რომ დაცული იყო ღია დემოკრატიის პრინციპი.

მოგვიანებით, მათ შეუერთდა სტუდენტთა ჯგუფი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან. თანადგომის წერილი მიიღეს გორის უნივერსიტეტიდან.

დაახლოებით 16 საათზე პლატფორმა „აუდიტორია 115“-ის სახელით საგანგებო განცხადება გაავრცელა ლევან ლორთქიფანიძემ.

საგანგებო განცხადება

ამ წუთას ჩვენ ვმსჯელობთ იმის შესახებ, რა გადაწყვეტილებას მივიღებთ. არსებობს რამდენიმე მოსაზრება. უახლოეს საათებში ჩვენ შევაჯამებთ ამ აზრს და ამის შესახებ მოგახსენებთ, მაგრამ მანამდე გვინდა გავაკეთოთ საგანგებო განცხადება:

სამწუხაროდ, არსებობს პროვოკაციების ძალიან სერიოზული რისკი. სხვადასხვა წყაროებიდან ვიღებთ ინფორმაციას, რომ ვიღაცები გეგმავენ 115-ე აუდიტორიისკენ დაძვრას. ამ აუდიტორიაში მყოფ ადამიანებს არ ეშინიათ, ყველა ძალიან მტკიცედ დგას, მაგრამ ჩვენ მოვუწოდებთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს, რომ მისი გუშინდელი განცხადება, რომ ყველაფერს გააკეთებს უნივერსიტეტში სტუდენტების და მათი უსაფრთხოების დაცვისთვის, იყოს უზრუნველყოფილი.

მოვუწოდებ უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ასევე პოლიციის თანამშრომლებს და მინისტრ მღებრიშვილს — მკაცრად გააკონტროლონ უნივერსიტეტის ყველა შემოსასვლელი, რადგანაც ჩვენ გვაქვს დაზუსტებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ვიღაცებს აქვთ უნივერსიტეტში პროვოკაციების მცდელობა.

პლატფორმა „115-ე აუდიტორია“ ინარჩუნებს მშვიდობიანი, არაძალადობრივი მეთოდებით მსჯელობის გაგრძელების სურვილს თუ უფლებას და ამ მსჯელობას გავაგრძელებთ ერთად.

ჩვენ შევხვდით მინისტრსაც და გუშინ უკვე მინისტრის წარმომადგენლებსაც. მივიღეთ ყველასთვის მისაღები წინადადებები, მაგრამ ან წინადადების პირველი მუხლი, რომელიც ეხებოდა უცნობი ნიღბიანი პირების და პროვოკატორების უნივერსიტეტიდან გასვლას, არ დაკმაყოფილდა.

მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა — უნივერსიტეტში აღარ არსებობს ავტორიტეტი. „აუდიტორია 115“-ს აქვს გრანდიოზული ავტორიტეტი, მაგრამ გვაქვს მყარი პოზიცია, რომ არ გვქონდეს ურთიერთობა ძალადობაში მხილებულ სისტემის წარმომადგენლებთან. ამიტომ, მე მივმართავ დაინტერესებულ პირებს, ვისაც სურს, რომ უნივერსიტეტში დალაგდეს ვითარება: აუცილებელია სერიოზული ავტორიტეტის მქონე პირმა, ჩემი აზრით, პრემიერ-მინისტრმა, გვითხრას, რომ იქნება უსაფრთხოება დაცული და მოუწოდოს აკადემიურ საბჭოს, განათლების მინისტრს და რექტორს მასთან შეკრებისკენ, რათა ერთად მიიღონ ანტიკრიზისული გადაწყვეტილება.

16 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

სტუდენტური თვითმმართველობა მოთხოვნებს არ ცვლის!

ნატო ოგოლაძე

16 მარტს 15 საათისთვის სტუდენტური თვითმმართველობის წევრებმა პირველი კორპუსის ეზოდან მეორე კორპუსში გადაინაცვლეს, სადაც თსუ-ის რექტორის ვლადიმერ პაპავას პასუხს ელოდნენ. მათთან ერთად იმყოფებოდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის და თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტური თვითმმართველობების ხელმძღვანელი სტუდენტები. სტუდენტებმა მეორე კორპუსში გადასვლა დაძაბულობის ასარიდებლად გადაწყვიტეს. მსვლელობის დროს აქციის მონაწილეები სკანდირებდნენ — „თსუ!“, „სოლიდარობა თვითმმართველობას!“ სტუდენტური თვითმმართველობის წევრის ტატო ირემაძის ინფორმაციით, რექტორისგან პასუხის მიღების შემდეგ ისინი გადაწყვეტენ, თუ როგორ გაგრძელდება პროტესტი. სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტის პაატა ბახტურიძის თქმით კი, რექტორის გადადგომის მოთხოვნით, იმ დროისთვის მხოლოდ შალვა საბაური შიმშილობდა და, იმ შემთხვევაში, თუ რექტორი არ გადადგება, პროტესტის უკიდურეს ზომას თვითმმართველობის წევრი სხვა სტუდენტებიც მიმართავენ.

„ამ ეტაპზე ერთი მოთხოვნა და შეთავაზება გვაქვს. იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტის სტუდენტობა ორად არის გაყოფილი — ერთი მხარე ითხოვს რექტორის გადადგომას, მეორე — აპროტესტებს თვითმმართველობის საქმიანობას, ვუთხარით რექტორს, გადადგეს და ამ შემთხვევაში ჩვენც გადავდგებით. სტუდენტური თვითმმართველობის რიგგარეშე არჩევნები როცა დაინიშნება, მასში მონაწილეობას აღარ მივიღებთ. გარდა ამისა, რექტორს ასევე ვუთხარით, თუ მას საუნივერსიტეტო საზოგადოება რექტორის თანამდებობის შესაფერისად თვლის, მიიღოს მონაწილეობა რექტორის არჩევნებში და, გამარჯვების შემთხვევაში, ჩვენ მის მანდატს ვაღიარებთ. თუ რექტორი არ გადადგება, შიმშილობას დავიწყებთ მეც და სხვა სტუდენტებიც.

დღეს თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრები აქციაზე არ არიან. გადავწყვიტეთ დაესვენათ. დღეს არის სოლიდარობის აქცია, ჩვენს პროტესტს სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტური თვითმმართველობები შემოუერთდნენ“, — განაცხადა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტმა პაატა ბახტურიძემ.

რაც შეეხება თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის შალვა საბაურის განცხადებას, რომელიც მან სოციალური ქსელის — facebook-ის საშუალებით გაავრცელა — „ჩვენ ბევრი შეცდომა დავუშვით, გამოუცდელები ვართ, კუთხეში ვიყავით მიმწყვდეული და ვცადეთ უკანასკნელი ძალებით გამოღწევა და ძალის გადაჭარბება გამოგვივიდა, გონს მოვეგეთ და დავიხიეთ, ომში აღმოვჩნდით და გამოცდილება არ გვეყო! მხოლოდ მე ვიღებ პასუხისმგებლობას სტუდენტური თვითმმართველობის შეცდომებზე! როდესაც ამ მოწვევის თვითმმართველობის წევრი წარმატებას მიაღწევს სადმე და მას ამ მძიმე მოვლენებს გაუხსენებენ და მოედავებიან, ეს პოსტი იყოს მათი ალიბი, რომ არაფერ შუაში არიან! იმისათვის, რომ მთელი ერი არ დაესხას თავს!“ — მისი თქმით, ეს განცხადება სტუდენტური თვითმმართველობის პროტესტის შეწყვეტას არ ნიშნავდა.

„გადავწყვიტე „facebook“-ზე ეს ინფორმაცია გამევრცელებინა, რადგან, მართლაც, კუთხეში ვიყავით მიმწყვდეულები. მთელი ქვეყანა გამოვიდა სტუდენტური თვითმმართველობის წინააღმდეგ. არ შეიძლება ამ ორგანიზაციის ასეთი მიზანმიმართული დისკრედიტაცია. რეალურად, ჩვენ ძალა გამოვიყენეთ, თუმცა შემდეგ კონსტრუქციულად მოვიქეცით და რექტორის კაბინეტიდან გამოვედით. მშვიდობიანი, მაგრამ დემონსტრაციული გზით ვაპირებთ, რომ ეს პროცესი ბოლომდე მივიყვანოთ. პასუხისმგებლობა ავიღე საკუთარ თავზე, რადგან სტუდენტური თვითმმართველობის წევრ სტუდენტებს შემდეგ ზუსტად ისე არ მოექცნენ, როგორც გიორგი გაფრინდაშვილის შემთხვევაში მოხდა“, — გვითხრა შალვა საბაურმა.

სტუდენტური თვითმმართველობის განცხადებებს გამოეხმაურა სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115“-ის ერთ-ერთი ორგანიზატორი ირაკლი კუპრაძე და „facebook“-გვერდზე დაწერა: „სხვადასხვა უნივერსიტეტის რიგი თვითმმართველობები პროვოკაციების მოსაწყობად და სიტუაციის კონტროლიდან გამოსაყვანად ხვდებიან საკუთარ წევრებს და გამიზნულად ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომ ჩვენი მოძრაობა ითხოვს სტუდენტური თვითმმართველობის საერთოდ გაუქმებას (სინამდვილეში ვითხოვთ მხოლოდ რეფორმირებას) და მათ ეუბნებიან, რომ ერთადერთი გამოსავალი საკუთარი თავის — თვითმმართველობის გადასარჩენად თსუ-ში მოსვლა და ყველას ძალით დამხობაა. როგორც გვითხრეს ისინი მობილიზებას ახლა იწყებენ“, — აღნიშნა ირაკლი კუპრაძემ.

თსუ-ის პროფესორთა მიმართვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებმა თსუ-ის სტუდენტების, პროფესურისა და ადმინისტრაციისადმი მიმართვა გაავრცელეს.

„თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლები უკიდურესად შეშფოთებულები ვართ უკანასკნელ დღეებში უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენებით. დაპირისპირებამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ასეთ სიტუაციაში დაუშვებლად მიგვაჩნია რექტორის გადადგომა. ამჟამად არა აქვს მნიშვნელობა — ვინ მართალია და ვინ მტყუანი, რამ მიგვიყვანა ასეთ დაპირისპირებამდე. ჩვენც მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტში ბევრი პრობლემაა, რომელიც სასწრაფოდ გადაჭრას მოითხოვს. ასევე გარკვეული ცვლილებებია შესატანი განათლების კანონში და, შესაბამისად, უნივერსიტეტის წესდებაში. ყველა პრობლემა მხოლოდ პროფესორ-მასწავლებლებს, ადმინისტრაციასა და სტუდენტებს შორის დიალოგის გზით შეიძლება გადაწყდეს. უნივერსიტეტი ხომ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ერთობაა. დაპირისპირებულ მხარეებს მოგიწოდებთ კონსენსუსისკენ და გთავაზობთ დიალოგის დაწყებას“, — ნათქვამია მიმართვაში.

თსუ-ის პროფესორ-მასწავლებლების თაოსნობით შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც არსებული პრობლემის მოსაგვარებლად მოლაპარაკებებს გამართავს სტუდენტებთან და პროფესორებთან.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრების განცხადება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო აცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას განვითარებული მოვლენების გამო და მოუწოდებს ყველა სტუდენტს, პროფესორს, თანამშრომელს ერთიანობისკენ, რათა მაქსიმალური ძალისხმევა მიმართონ არსებული კრიზისიდან გამოსასვლელად. შექმნილ ვითარებაში ერთადერთი გამოსავალი კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელებაა. წინააღმდეგ შემთხვევაში მივალთ სავალალო შედეგებამდე.

სამწუხაროდ, ბოლო დღეებში გავრცელდა არა მარტო დაუზუსტებელი, არამედ მიზანმიმართულად შეურაცხმყოფელი განცხადებები. მძიმე ბრალდებები წაუყენეს როგორც რექტორს, ასევე ორივე სტუდენტური აქციის მონაწილეებს და კანცლერობის კანდიდატს. გამოითქვა სერიოზული და უაპელაციო ურთიერთბრალდებები, რაც დაუშვებელია. სამწუხაროდ, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვა.

ჩვენთვის მიუღებელია ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც იწვევს უნივერსიტეტისა და მისი მმართველი ორგანოების პარალიზებას. მიუღებელია როგორც ფიზიკური ძალადობა, ასევე მორალური ზეწოლა.

მოვუწოდებთ ყველას, განსაკუთრებით პროფესურას, თავი შეიკავოს მკვეთრი განცხადებებისგან, ორივე სტუდენტური აქციის მონაწილეები ჩვენი სტუდენტები არიან, ვალდებულნი ვართ, მოვუსმინოთ ყველას, გავითვალისწინოთ მათი კონსტრუქციული მოსაზრებები და მათთან ერთად მოვძებნოთ გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან.

რას შეიცავს „დასკვნა“, რომელსაც თსუ სამინისტროდან ელის?

16 მარტს გავრცელებული ინფორმაცია გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე

გავრცელდა ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო თსუ-ის კანცელარიას მიაწვდის დოკუმენტს, რომელშიც თითქოსდა (ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის თანახმად) საუბარია თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იმ გადაწყვეტილებაზე, რომლის საფუძველზეც კანცლერის ახალი კონკურსი კი არ გამოცხადდა, არამედ კანცლერობის კანდიდატი ძველი კონკურსის ფარგლებში შეირჩა დარჩენილი კანდიდატებიდან (მას შემდეგ, რაც იოსებ არჩვაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა). როგორც მოგეხსენებათ, ეს კანდიდატი იყო გიორგი გაფრინდაშვილი, რომელიც აკადემიურმა საბჭომ იმავე კონკურსის ფარგლებშივე შეარჩია. ვინაიდან, უნივერსიტეტში სტუდენტთა მხრიდან სწორედ ამ კანდიდატურის მისამართით აგორდა პროტესტის ტალღა, ამიტომ ვამახვილებთ ჩვენც ყურადღებას ამჟამად ამ საკითხზე. მით უფრო, რომ ვრცელდება ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ განათლების სამინისტროდან უნივერსიტეტში მოვა დოკუმენტი ამ თემასთან დაკავშირებით. „ალბათ, ეს არის ჩვეულებრივი პროცედურა. ჩვენ გამოვითხოვეთ ინფორმაცია, როგორ მოხდა კანცლერობის კანდიდატების შერჩევის პროცედურები, რასაც გაეცვნენ ჩვენები და გარკვეულ შენიშვნებს და რეკომენდაციებს გწერენ ახლა. მოგივათ დოკუმენტი და ნახეთ“, — აღნიშნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურიდან ნათია პაპავამ ჩვენთან საუბარში.

— ეს არის რეკომენდაცია და არა იმის განმარტება, რომ აკადემიურმა საბჭომ, თითქოსდა, მაშინ უკანონო გადაწყვეტილება მიიღო? (ასე რატომ ვრცელდება ინფორმაცია?) — ამ ჩვენს შეკითხვაზე ნათია პაპავამ განაცხადა: „ამ დოკუმენტში სიტყვა უკანონო არ არის ნახსენები. ეს არის რეკომენდაციები. იყო დარღვევები, როგორც ჩანს, მაგრამ სიტყვა — უკანონოს — არ ვწერთო ჩვენ — ასე მითხრეს. მოგივათ დოკუმენტი და ნახეთ“. აღნიშნულ საკითხზე ჩვენ კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ იურისტს დიმიტრი გეგენავას, რომელიც თსუ-ის სენატის აპარატის უფროსიცაა, ოღონდ ჩვენთან ისაუბრა, როგორც მხოლოდ იურისტმა. გაირკვა ისიც, რომ იგი მონაწილეობდა იმ იურიდიული დასაბუთების მომზადებაში, რომელსაც აკადემიური საბჭო დაეყრდნო.

დიმიტრი გეგენავა

არჩილ კაიკაციშვილი

ინტერვიუ დიმიტრი გეგენავასთან

— ბატონო დიმიტრი, ელოდებიან განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან აუდიტის დასკვნას, რომელშიც, სავარაუდოდ, საუბარია იმაზე, რომ თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება დაეფუძნა არაკანონიერ იურიდიულ დასაბუთებას, რომ დარჩენილი კანდიდატებიდან შეერჩიათ კანცლერობის მეორე კანდიდატურა (მოგეხსენებათ, რომ როცა იოსებ არჩვაძემ მოხსნა თავისი კანდიდატურა, ან ახალი კონკურსი უნდა გამოცხადებულიყო, ან დარჩენილი კანდიდატებიდან კვლავ ერთ-ერთი უნდა შეერჩია აკადემიურ საბჭოს). როგორც მითხრეს, ეს იურიდიული დასაბუთება, რომლის საფუძველზეც აკადემიურმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება – დარჩენილი კანდიდატებიდან შეერჩია კანცლერობის ახალი კანდიდატი, მომზადდა თქვენ მიერ...

— ჩემ მიერ არა. იქ იურისტები შეგვკრიბეს, მათ შორის იურიდიული დეპარტამენტი, აკადემიური საბჭოს სამდივნო, სენატის სამდივნო, სპიკერი, ანუ ყველა ერთად ვიყავით.

— შეგიძლიათ დამისახელოთ ადამიანები, ვინც მოამზადა კონკრეტულად ეს დასაბუთება?

— ეს ეცოდინება აკადემიური საბჭოს სამდივნოს. ვინაიდან ამგვარი გადაწყვეტილება აკადემიურმა საბჭომ მიიღო.

— მაგრამ საფუძველი ვინ მოამზადა?

— ამაზე ყველამ გამოთქვა საკუთარი აზრი, მათ შორის მეც, დემეტრე ეგნატაშვილმაც...

— რომლებიც დაეთანხმეთ, რომ ახალი კონკურსი არ უნდა გამოცხადებულიყო და კანცლერობის კანდიდატი შეერჩიათ დარჩენილი კანდიდატებიდან?

— კი, ბატონო, და არა მხოლოდ დავეთანხმეთ, არამედ, ჩემი პოზიცია, როგორც იურისტის, დღემდე ასეთია. ეს არის განმარტების საკითხი, თუმცა, როგორც იურისტი, განვმარტავ, რომ აღნიშნული კონკურსი არ იყო დამთავრებული, შესაბამისად, ამ კონკურსის საფუძველზე, აკადემიურ საბჭოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სრულიად თავისუფლად შეეძლო როგორც კონკურსის დასრულება, ისე არსებული კონკურსის ფარგლებში კანდიდატურის შერჩევა.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ახლა გადმოიგზავნება განათლების სამინისტროს აუდიტის მიერ დაწერილი დასკვნა, რომ თქვენ მიერ მომზადებული იურიდიული საფუძველი შეიცავდა დარღვევებს...

— ეს რომ დარღვევებს შეიცავდა და იყო არაკანონიერი, ამის დამტკიცება შეუძლია მხოლოდ სასამართლოს. როგორც განათლების სამინისტროს აქვს თავისი კონკრეტული მოსაზრება, ისე ექნება ნებისმიერ იურისტს თავისი მოსაზრება. მე დღემდე ამ პოზიციაზე ვარ. შემიძლია განვმარტო და ჩემი მოსაზრება თავისუფლად ჩამოვაყალიბო.

— ანუ, ეს არის უკვე სასამართლოს გადასაწყვეტი...

— რა თქმა უნდა, სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, აბა, არაკანონიერი იყო — ეს რას ნიშნავს? ანუ განათლების სამინისტრო უნივერსიტეტს უდგენს, როგორ განმარტოს კანონი და უნივერსიტეტის წესდება? ამის უფლება არ აქვს განათლების სამინისტროს. რადგან ეს არის უნივერსიტეტის გადასაწყვეტი და, როგორც ვიცი, აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა, ანუ ჩვენ შევთავაზეთ როგორი მოდელიც იყო, აკადემიურ საბჭოს უნდა აერჩია — ახალ კონკურსს აცხადებდა თუ ამ კონკურსის ფარგლებში შეარჩევდა კანდიდატურას? რადგან იმ ერთმა კანდიდატურამ ვერ მიაღწია იმ ეტაპამდე, რომ სენატის სხდომა ჩატარებულიყო, ამიტომ აკადემიურმა საბჭომ ჯერ მიიღო ის გადაწყვეტილება, რომ კონკურსი თავიდან არ გამოეცხადებინა და წარედგინათ კანდიდატი. შემდეგ შეიკრიბნენ და იმსჯელეს, რომელი კანდიდატი შეერჩიათ — ასე იყო ეს პროცედურულად. შესაბამისად, ფიზიკურად არანაირი დარღვევა არ შეიძლება არსებობდეს. ეს არის კონკრეტულ პირთა მოსაზრება, რომელსაც, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, აკადემიური საბჭო, როგორც უნდოდა, ისე გაიზიარებდა. ეს მათი გადასაწყვეტი იყო და ასეც გადაწყვიტეს. ეს არის ჩემი კომენტარი, როგორც იურისტის, კონსტიტუციონალისტის, სამართლის დოქტორანტის... მინდა დავამატო, რომ განათლების სამინისტროს, ფიზიკურად, არ აქვს იმის უფლება, რომ უნივერსიტეტს რაიმე მიუთითოს.

— არაფერს უთითებს, ოღონდ არსებობს აუდიტის დასკვნა, როგორც მითხრეს...

— აუდიტის დასკვნა არის კონკრეტული შეფასება. აუდიტის დასკვნას ზუსტად იგივე ძალა აქვს, როგორც ნებისმიერი ექსპერტიზის, თუნდაც ჩემს შეფასებას. და თუკი განათლების სამინისტრო ხედავდა ამაში პრობლემას, მაშინ უნდა გაესაჩივრებინა, როგორც მაკონტროლებელს, სასამართლოში. ასე არ მოქცეულა განათლების სამინისტრო, არადა ვადებიც იყო და, შესაბამისად, უნივერსიტეტისთვის რაიმეს დაბრალება ამ კონკრეტულ მომენტში, არის კატასტროფა. ეს არის საკანონმდებლო ტექნიკისა და იურიდიული ჰერმენევტიკის საქმე — ტექსტის გაგების თემა, რომლის სპეციალისტიც ვარ მე.

ინტერვიუ „ახალგაზრდა ადვოკატების“ წარმომადგენელთან არჩილ კაიკაციშვილთან

— როგორც ვიცი, „ახალგაზრდა ადვოკატები“ იყვნენ დამკვირვებლები იმ პროცესისა, რაც წარიმართა კანცლერობის კანდიდატების შერჩევასთან დაკავშირებით. გავრცელდა ზეპირსიტყვიერი ინფორმაცია, რომ ახლა განათლების სამინისტროდან შეიძლება შემოვიდეს აუდიტის დასკვნა თუ წერილი, სადაც „ახალგაზრდა ადვოკატების“ პოზიციებსაც თითქოსდა გამოეხმაურნენ. თქვენ სამინისტროს წარუდგინეთ რაიმე განცხადება ან წერილი?

— არა. მას შემდეგ, რაც 25 თებერვალს „ახალგაზრდა ადვოკატებმა“ ოფიციალური წერილით მიმართა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს ვლადიმერ პაპავას, რომელიც იმავდროულად უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეა, რომ თსუ-ში კანცლერის შერჩევის პროცესი შეეჩერებინა, ჩვენ ვგეგმავდით იმ გადაწყვეტილების გასაჩივრებას თბილისის საქალაქო სასამართლოში, რასაც შემდგომ სენატი მიიღებდა, ან/და თუ მიიღებდა. ვფიქრობდით და მიგვაჩნია, რომ 2016 წლის 19 თებერვლის შემდგომ, მას მერე, რაც იოსებ არჩვაძემ საკუთარი კანდიდატურა მოხსნა კანცლერის პოზიციაზე, პროცესი გავიდა კანონის ჩარჩოების მიღმა და პროცესმა მიიღო არალეგიტიმური ხასიათი. შესაბამისად, ვიდრე გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის წარდგენა მოხდებოდა სენატზე, მივმართეთ რექტორს, რომ შეეჩერებინა ეს პროცესი, რადგან ეს იმთავითვე იყო არალეგიტიმური და ვთხოვეთ — გამოეცხადებინა ახალი კონკურსი. ჩვენ ოფიციალური წერილით მივმართეთ ვლადიმერ პაპავას. სულ იყო 3 მოთხოვნა: შეჩერდეს კანცლერის შერჩევის პროცესი, რომელიც მიღებული გადაწყვეტილებით გახდა კანონსაწინააღმდეგო და არალეგიტიმური; კანცლერის შერჩევის მიზნით გამოცხადებულიყო ახალი კონკურსი და საკითხი განხილულიყო აკადემიური საბჭოს სხდომაზე. რა რეაგირება მოჰყვა აღნიშნულ მიმართვას, ჩვენთვის უცნობია, რადგან ჩვენს წერილთან დაკავშირებით არ მოგვსვლია სათანადო გამოხმაურება. დამისამართდა თუ არა უნივერსიტეტის მხრიდან წერილი სამინისტროში, ვერაფერს გეტყვით; იმსჯელა თუ არა წერილთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ, ჩვენთვის ეს ფაქტი უცნობია, მაგრამ ორგანიზაციას, რომელიც 2015 წლის დეკემბრიდან აღნიშნულ პროცესს სამართლებრივი რეგულაციების განხორციელების მიმართულებით აკვირდება, მიაჩნია, რომ 19 თებერვლის შემდგომ პროცესი გავიდა სამართლებრივი ჩარჩოებიდან.

— მაინტერესებს, სამინისტროს პოზიციას ამ წუთას თქვენ ოფიციალურად არ იცნობთ?

— სამინისტროს პოზიციას ოფიციალურად არ ვიცნობ. თქვენგან გავიგე, რომ რაღაცას ამზადებს სამინისტრო. ჩემი აზრით, სამინისტრომ უნივერსიტეტიდან კანცლერის შერჩევის პროცესთან დაკავშირებით არსებული ყველა პრეტენზია, დოკუმენტაცია, წერილი თუ სამართლებრივი აქტი უნდა გამოითხოვოს და მისი სამართლებრივი ექსპერტიზა უნდა მოითხოვოს.

— ჩვენ ვესაუბრეთ უნივერსიტეტის ერთერთ იურისტს, დოქტორანტს დიმიტრი გეგენავას. მან თქვა, რომ შეეძლოთ ეს პრეტენზია სასამართლოს წესითაც გაცხადებულიყო და იქ განიხილებოდა — ვინ დაარღვია ამ შემთხვევაში კანონი და რამდენად სამართლიანი იყო ის იურიდიული საფუძველი, რომელიც წარადგინეს აკადემიური საბჭოს წინაშე. სასამართლოსთვის თქვენ არ მიგიმართავთ?

— არა, სასამართლოსთვის არ მიგვიმართავს. ჩვენ ვთქვით, რომ, იმ შემთხვევაში, თუ სენატი მოახდენდა გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის მხარდაჭერას, შესაძლებელია, სასამართლოში გაგრძელებულიყო საქმე. და რატომ? შესაძლებელია, სენატს არ დაეჭირა მხარი გიორგი გაფრინდაშვილისთვის, რადგან იცოდნენ, რომ მისი კანდიდატურა შერჩეული იქნებოდა სამართლებრივი რეგულაციების გვერდის ავლით.

— არავინ იცის — რა გადაწყვეტილებას მიიღებდა სენატი. გაითვალისწინებდნენ თუ არა თქვენს მითითებას...

— თქვენ კითხვას მისვამთ, რატომ არ გაგრძელდა დავა სასამართლოში. არ ვიცით — რა შეიძლებოდა ყოფილიყო სენატის გადაწყვეტილება. შემდეგ კანდიდატურა გიორგი გაფრინდაშვილმაც მოხსნა და სწორედ ამიტომ არ გაგრძელდა დავა.

მოამზადა ნინო კაკულიამ

16 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

თსუ-ის რექტორი სტუდენტებს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის ულტიმატუმის საპასუხოდ ვლადიმერ პაპავა სტუდენტებს კონსტრუქციული დიალოგისკენ მოუწოდებს.

„უნივერსიტეტი საკმაოდ რთულ ვითარებაშია, რექტორის გადადგომა კიდევ უფრო დაამძიმეს ვითარებას, ამიტომ პოზიცია ურყევია. ჩვენ ყველას უნდა გვეყოს გონიერება, მე დარწმუნებული ვარ, რომ ამ სტუდენტებს, რომლებიც აყენებენ ჩემი გადადგომის მოთხოვნებს ძალიან უყვართ უნივერსიტეტი და მხოლოდ უნივერსიტეტისთვის სასიკეთოს გადაწყვეტილებას მიიღებენ. ეს შეუნარჩუნებს უნივერსიტეტს სტაბილურობას, ხოლო მათთან დიალოგის გაგრძელებისთვის მე მზად ვარ, ნებისმიერ კრიტიკულ თემაზე, რაც აწუხებთ სტუდენტებს, აწუხებს საუნივერსიტეტო საზოგადოებას. ჩვენ ერთობლივი ძალისხმევით უნდა მივიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

დღის პირველ ნახევარში უნივერსიტეტის რექტორი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს შეხვდა. რექტორის განცხადებით შეხვედრა უწმინდესის თხოვნით შედგა და რექტორმა მას უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება გააცნო. რექტორის თქმით, პატრიარქი მოუწოდებს სტუდენტებს — შეინარჩუნონ სიმშვიდე და სურვილის შემთხვევაში, საღამოს 18[00] საათზე სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში მივიდნენ.

„ეს შეხვედრა მოეწყო მისი უწმინდესობის თხოვნით, ეს იყო ძალიან თბილი საუბარი, მას აინტერესებდა ჩემგან გაეგო კონკრეტულად — რა ხდება უნივერსიტეტში, როგორ განვითარდა სიტუაცია, რა მდგომარეობაა ამჟამად, და კიდევ ერთხელ ხაზი გაუსვა მის დამოკიდებულებას უნივერსიტეტისადმი, სტაბილურობისადმი, განვითარებისადმი, ახალგაზრდებისადმი, სტუდენტებისადმი“, — განაცხადა შეხვედრის დასასრულს რექტორმა ვლადიმერ პაპავამ.

აკადემიური საბჭო მინისტრს შეხვდა

განათლების სამინისტროში

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრები 16 მარტს საღამოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს თამარ სანიკიძეს შეხვდნენ. შეხვედრა ადრე დატოვა თსუ-ის რექტორმა ლადო პაპავამ, რომელიც, პატრიარქის თხოვნის თანახმად, სვეტიცხოვლის ტაძარში ლოცვებზე დასასწრებად წავიდა.

აკადემიური საბჭოს წევრებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრმა თამარ სანიკიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ამჟამად უკეთესი მდგომარეობაა და რომ ვითარების მეტად სტაბილიზაციისთვის საჭიროა კვლავ გაგრძელდეს მსჯელობა.

„თავად უნივერსიტეტის გადასაწყვეტია რექტორის ყოფნა-არყოფნის საკითხი. აკადემიური საბჭო ის ლეგიტიმური ორგანოა, რომელზეც უნდა გადაწყდეს ეს საკითხები. კონკრეტული შეთავაზება აქვს აკადემიურ საბჭოს სტუდენტებისთვის. აკადემიური საბჭო ითხოვს გონივრულ ვადას იმისათვის, რომ იმსჯელოს რექტორის საკითხზე, მიიღოს გადაწყვეტილება და აცნობოს სტუდენტებს. ამ ადამიანებმა აირჩიეს რექტორი და მათვე აქვთ გადაწყვეტილების მიღების უფლება. მივცეთ აკადემიური საბჭოს წევრებს გონივრული ვადა“, — აღნიშნა თამარ სანიკიძემ.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრის ნუგზარ სურგულაძის განცხადებით, „აკადემიური საბჭო აპირებს სტუდენტებთან მისვლას და პრობლემების განხილვას. არსებული პრობლემური საკითხების გადასაჭრელად საჭიროა გარკვეული დრო. რექტორის საკითხთან დაკავშირებით საბჭოს წევრებს შორისაც განსხვავებული აზრია.“

მინისტრთან შეხვედრის შემდეგ აკადემიური საბჭო თსუ-ში შეიკრიბა. სხდომაზე შესვლის წინ თსუ-ის რექტორმა, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ ვლადიმერ პაპავამ განაცხადა: „ის ვალდებულება, რაც აქვს რექტორს შექმნილ ვითარებაში და ის ამოცანები, რაც აქვს უნივერსიტეტს, ეს ყველაფერი არის ის, რის გამოც გადაწყვეტილების შეცვლას არ ვაპირებ. ვფიქრობ, რომ მაინც უნდა იყოს კონსულტაციები, კომუნიკაცია და ვფიქრობ, აკადემიური საბჭოც არის ამ განწყობით. შეიძლება აკადემიურ საბჭოს ჩემი იმპიჩმენტის საკითხის განხილვა მოსთხოვონ და ეს არის აკადემიური საბჭოს პრეროგატივა. ამას განსაზღვრას კანონი და წესდებაც. მე კანონმორჩილი ვარ და ვფიქრობ — არანაირი პრობლემა არ არის, თუ უნივერსიტეტი დარჩება კანონიერების ჩარჩოში“.

„აუდიტორია 115“-ის წევრებმა აუდიტორია დატოვეს



16 მარტს, საღამოს, „აუდიტორია 115“-ის წევრებმა მიიღეს აუდიტორიისა და, საერთოდ, კორპუსის დაცლის გადაწყვეტილება იმ იმედით, რომ მოლაპარაკებები კონსტრუქციულ რეჟიმში გაგრძელდება.

„სტუდენტურმა მოძრაობამ — „აუდიტორია 115“-მა — მიაღწია თავის მიზანს, თუმცა ეს მიზანი არის მხოლოდ და მხოლოდ დასაწყისი. ჩვენ გვქონდა 3 საწყისი მოთხოვნა, ესენია: 1) გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის მოხსნა კანცლერობის კენჭისყრიდან, რაც მყისიერად განხორციელდა; 2) სტუდენტური თვითმმართველობის, როგორც ორგანიზაციის, რეფორმის დაწყება, რაზეც პირობა მივიღეთ განათლების სამინისტროდან. ეს არის გრძელვადიანი პროცესი და სამინისტროს ჩვენ უნდა შევთავაზოთ ჩვენი მოდელები; 3) „ოდეერების“ საკითხის გადაწყვეტა უნივერსიტეტში: უნდა მოხდეს „ოდეერებისგან“ გამიჯვნა, თუ ისინი კანონგარეშე არსებობენ და მათი განდევნა უნდა განხორციელდეს უნივერსიტეტიდან. ჩვენ არ ვებრძვით პერსონებს, უნივერსიტეტში საერთოდ უნდა გაუქმდეს „ოდეერების“ თანამდებობა და უნივერსიტეტი უნდა გახდეს სრულიად თავისუფალი აკადემიური სივრცე. განათლების სამინისტრომ „ოდეერის“ საკითხთან დაკავშირებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, მიმართა პარლამენტსაც, რათა შეიქმნას საგამოძიებო კომისია, რომ შეისწავლონ ეს მდგომარეობა უნივერსიტეტებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

ეს სამი მოთხოვნა დაკმაყოფილებულია და ჩვენ მივაღწიეთ სრულ გამარჯვებას ამ მხრივ, თუმცა ვაგრძელებთ ბრძოლას განათლების ერთიანი სისტემის წინააღმდეგ და ვითხოვთ მის გათავისუფლებას კლანებისგან. კონცეფციების დონეზე განვიხილავთ ამ ყველაფერს, გამოვაქვეყნებთ სულ მალე მანიფესტს, რომელსაც ჰქვია „მანიფესტი 115“ და ამ მანიფესტში ჩამოვაყალიბებთ ყველა იმ მოთხოვნას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში იქნება ჩვენი ბრძოლის გზამკვლევი.

რაც შეეხება რექტორის იმპიჩმენტის თემას, აკადემიური საბჭო არ განიხილავს და ვერც ვერასდროს განიხილავს ამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში რექტორის იმპიჩმენტის საკითხს, რადგან აკადემიური საბჭოს უნდობლობის თემა თვითონ არის დღის წესრიგში“, — განაცხადა ჩვენთან საუბრისას „აუდიტორია 115“-ის წევრმა ირაკლი კუპრაძემ.

„აკადემიურ საბჭოსთან გვქონდა 7-10 წუთიანი კონსულტაცია. ჩვენ შევპირდით, რომ ხვალიდან სასწავლო პროცესის ფუნქციონირებას ხელი აღარ შეეშლება და 115-ე აუდიტორიას დავტოვებთ. მათ გამოთქვეს სურვილი, რომ კონსტრუქციულ რეჟიმში ვითანამშრომლოთ. ერთადერთი საკითხი, რაზეც მივუთითეთ, ეს გახლავთ უნივერსიტეტის რამდენიმე თანამშრომლის ეთიკური პასუხისმგებლობის საკითხი“, — განაცხადა „აუდიტორია 115“-ის წევრმა ლევან ლორთქიფანიძემ.

„აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებმა პირველი კორპუსი გვიან ღამით სტვენითა და შეძახილებით — „ავტონომია უნივერსიტეტს!“ — დატოვეს.

სტუდენტური მოძრაობა „აუდიტორია 115-ის“ მანიფესტი

სტუდენტური მოძრაობის „აუდიტორია 115-ის“ წევრებმა თსუ-ის პირველი კორპუსის დატოვების შემდეგ მანიფესტი №115 წაიკითხეს.

მანიფესტის თანახმად, სტუდენტებისა და ლექტორებისგან შეიქმნება უნივერსიტეტის რეფორმირების საბჭო. სტუდენტები ითხოვენ აკადემიური საბჭოს დაშლას, მისი სტრუქტურისა და არჩევის წესის რეორგანიზებას; განათლების შესახებ კანონში ცვლილების შეტანის გზით თვითმმართველობის სასწრაფო რეორგანიზაციას. მათი თქმით, უნდა გატარდეს საკანონმდებლო ცვლილებები, რომელიც აკადემიური საბჭოს გარდა, უნდა შეეხოს რექტორისა და სენატის ინსტიტუტებს. ამასთან, სტუდენტები ითხოვენ საგანმანათლებლო სივრცის სრულ გათავისუფლებას ე.წ „ოდეერებისგან“. მანიფესტის თანახმად, უახლოეს დროში, შემუშავებული იქნება დეტალური ხელშეკრულება — კონსენსუსზე დაფუძნებული შეთანხმება მთავრობასა და სტუდენტებს შორის. ხელშეკრულებას ხელს მოაწერენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, უნივერსიტეტის რექტორი და წარმომადგენელი პირი მოძრაობიდან „აუდიტორია 115“. „აუდიტორია 115“-ის წევრების განცხადებით, სასწავლო პროცესის აღდგენის მიზნით, დროებით წყვეტენ №115 აუდიტორიაში მუშაობას და მოუწოდეს კონტრ-დემონსტრაციის მონაწილეებს პატივი სცენ საგანმანათლებლო პროცესს.

მანიფესტში, აგრეთვე, ნათქვამია, რომ თუ 16 აპრილამდე ვერ მოხერხდება ხელშეკრულების გაფორმება, სტუდენტები იტოვებენ საერთო სტუდენტური გაფიცვის ორგანიზების უფლებას.

17 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

თსუ-ის პირველ კორპუსში სასწავლო პროცესი აღდგა

17 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსში სასწავლო პროცესი სრული დატვირთვით აღდგა და იგი ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა **ვლადიმერ პაპავამ** თავად მოინახულა რამდენიმე აუდიტორია და აღნიშნა, რომ გაცდენილი სააუდიტორიო მეცადინეობების აღდგენის პროცესს უზრუნველყოფენ ფაკულტეტები.

„მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენს სტუდენტებს, რომ კიდევ ერთხელ გამოიჩინეს დიდი სიყვარული და პატივისცემა უნივერსიტეტის მიმართ და ხელი არ შეუშალეს პირველ კორპუსში სასწავლო პროცესის აღდგენას. მადლობა მინდა ვუთხრა ჟურნალისტებს, რომელთაც ჩვენთან ერთად გადაიტანეს ეს მძიმე დღეები და საზოგადოებას მიაწოდეს ობიექტური ინფორმაცია უნივერსიტეტში განვითარებულ მოვლენებზე. განსაკუთრებული მადლობა პოლიციას, რომელმაც ძალიან გამართულად იმუშავა, სწორედ ისე, როგორც ეკადრება უნივერსიტეტს. დიდი მადლობა სრულიად საზოგადოებას, რომელიც მძაფრი ინტერესითა და გულისტკივილით გვადევნებდა თვალყურს და გვერდში დაუდგა უნივერსიტეტს“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა.

მისი თქმით, დიალოგი არის რთული ვითარებიდან გამოსვლის ყველაზე კარგი გზა და სასიხარულოა, რომ სტუდენტების ორივე ნაწილმა სწორედ ეს გზა აირჩია.

პრემიერ-მინისტრის მოწოდება სტუდენტებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის განახლებას მიესალმება. როგორც გიორგი კვირიკაშვილმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, მოხარულია, რომ სტუდენტებმა პროტესტის მშვიდობიანი ფორმა და მოლაპარაკებების პროცესი არჩიეს.

პრემიერის შეფასებით, თითოეული სტუდენტის, ახალგაზრდის აზრი და პროტესტი უმნიშვნელოვანესია და მათი მაქსიმალური ჩართულობა განათლების სისტემის რეფორმირების პროცესში უზრუნველყოფილი იქნება.

„ჩვენი ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება არის განათლების რეფორმა, რაც გულისხმობს უმაღლესი განათლების სისტემის ძირეულ ცვლილებებს, ამიტომ ჩვენ მაქსიმალურად ჩავრთავთ ახალგაზრდებს ამ რეფორმირების პროცესში და გავითვალისწინებთ მათ აზრს“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

გიორგი კვირიკაშვილმა თვითმმართველობის რეფორმის აუცილებლობაზეც ისაუბრა. მთავრობის მეთაურის შეფასებით, თვითმმართველობაზე შეიქმნა ნეგატიური აზრი წარსულში არსებული პრეცედენტების გამო, როდესაც თვითმმართველობის და სტუდენტების აბსოლუტურად გულწრფელ პროტესტს პოლიტიკოსები საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებდნენ.

„ჩვენ ვემიჯნებით ასეთ ხედვას და ჩვენთვის თითოეული სტუდენტის, თვითმმართველობაში გაწევრიანებული ახალგაზრდის აზრი მნიშვნელოვანია. თვითმმართველობაც თავისთავად საჭიროებს რეფორმას. მოვუწოდებთ ყველა ახალგაზრდას, ჩაერთოს მოლაპარაკების, რეფორმირების პროცესში. ჩვენ აუცილებლად მივაღწევთ ისეთ პროგრესულ მოდელს, სადაც აღარ იქნება მიზეზი იმისა, რომ სტუდენტები გამოდიოდნენ ქუჩაში და სასწავლო პროცესი იშლებოდეს. მოხარული ვარ, რომ სასწავლო პროცესი განახლდება და ნორმალურ კალაპოტს დაუბრუნდება“, — აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

სტუდენტური თვითმმართველობა წყვეტს აქციას, თუმცა არ იცვლის პოზიციას

„თსუ-ის სტუდენტურმა თვითმმართველობამ, ისევე როგორც „აუდიტორია 115-ის“ სტუდენტებმა, პირველ კორპუსში შევწყვიტეთ დემონსტრაციები, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს, თუმცა ჩვენი მოთხოვნა — რექტორის გადადგომა — კვლავ ძალაშია“, — აღნიშნა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა. მისი თქმით, სტუდენტები შეხვდებიან აკადემიურ საბჭოს, რათა „რექტორს დაატოვებინონ თანამდებობა, რადგან იგი ვერ უზრუნველყოფს უნივერსიტეტში ინსტიტუციურ წესრიგს, თანამშრომლობს ე.წ. „ოდეერთან“, არ იღებს პასუხისმგებლობას არაფერზე. ვეცდებით, სამართლებრივი გზებით მივიყვანოთ ჩვენი მოთხოვნა ბოლომდე. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ მივმართავთ რადიკალურ ზომებს“.

18 მარტის მოვლენების კვალდაკვალ

„ვლადიმერ პაპავას თანამდებობიდან გადაყენება არასწორად მიგვაჩნია“ – ნათქვამია „გის ჯგუფის“ განცხადებაში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებზე „გის ჯგუფის“ სახელით განცხადება ვრცელდება. ჯგუფი პირველად აფიქსირებს თავის აზრს ამ საკითხზე საჯაროდ. განცხადება „გის ჯგუფის“ ახლად შექმნილ ვებგვერდზეც — www.studentebi.ge — დაიდო.

„დღესდღეობით უნივერსიტეტში ძალიან დაძაბული ფონია შექმნილი, რამაც სრულიად სამართლიანი პროტესტის გრძნობა გამოიწვია სტუდენტთა გარკვეულ ნაწილში.

უნივერსიტეტის უმთავრესი დანიშნულება აკადემიური საქმიანობაა. სტუდენტებს და აკადემიურ პერსონალს უნდა ჰქონდეს თავისუფლად სწავლის, სწავლების და კვლევების ჩატარების შესაძლებლობა. გარდა ამისა, აუცილებელია სიტყვის და პოზიციის დაფიქსირების თავისუფლება. მისასალმებელია, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, პროტესტის განცდა უჩნდებათ არსებული ვითარების შემხედვარე და საკუთარ პოზიციას თამამად აფიქსირებენ.

ჩვენ ვემიჯნებით იმ აზრს, რომ აქციის რომელიმე მხარე პირადი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ღრმად გვწამს, მათ უნივერსიტეტის სიყვარული და უკეთესი მომავლის სურვილი ამოძრავებთ. თუმცა, ნებისმიერი პროტესტის გამოხატვა დემოკრატიულ ჩარჩოებს არ უნდა სცდებოდეს. უნივერსიტეტის პარალიზება, სიტყვიერი თუ ფიზიკური დაპირისპირება, შენობაში ფარულად შეჭრა, ტერიტორიის დანაგვიანება – ეს იმ მრავალთაგანი პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რაც აქციის მიმდინარეობისას დაფიქსირდა. კადრები, რომელიც მთელმა საქართველომ იხილა, ნამდვილად შელახავს უნივერსიტეტის, როგორც „ცოდნის ტაძრის“, იმიჯს.

ამ ხნის მანძილზე თსუ-ში ბევრი პრობლემა დაგროვდა. პირველ რიგში, აღსანიშნავია სწავლის ხარისხი, რომლითაც რიგი ფაკულტეტები ნამდვილად ვერ გამოირჩევიან. მოძველებულია სასწავლო მეთოდები. გასაახლებელია ინფრასტრუქტურა. მაგალითად, გეოგრაფიის დეპარტამენტში დღემდე დახეული რუკებით ასწავლიან სტუდენტებს. არც ერთ საგანში არ გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. არასწორად არის შედგენილი სილაბუსი, რის გამოც იკარგება უდიდესი დრო და ენერგია, რაც შესაძლებელია, გაცილებით აზრიანად გამოიყენოს დაინტერესებულმა ლექტორმა თუ სტუდენტმა. ფაქტობრივად არ არსებობს პრაქტიკული მეცადინეობები უშუალოდ ველზე, სადაც შესაბამისი აღჭურვილობის დახმარებით ახალგაზრდები უნდა ყალიბდებოდნენ სპეციალისტებად. შეიძლება ითქვას, რომ ეს მიმართულება ვერ უზრუნველყოფს პროფესიონალი კადრის მომზადებას სახელმწიფოსთვის. სამწუხაროდ, ამ ფაქტებით თითქმის არავინ ინტერესდება – არც ფართო სტუდენტური მასები და, მით უმეტეს, არც მედია! „გის ჯგუფი“ ცდილობდა, ცდილობს და მომავალშიც შეეცდება, ეს პრობლემები წამოწიოს წინა პლანზე. ამ საკითხებზე ბატონ ვლადიმერთანაც გვისაუბრია და გვჯერა, დიალოგის რეჟიმში ეტაპობრივად გამოვასწორებთ სიტუაციას.

პრობლემებს შორისაა ე.წ. „ოდეერის“ ინსტიტუტი, რაც, რასაკვირველია, დაუშვებელია! უნივერსიტეტი უნდა იყოს ავტონომიური! უნდა რეფორმირდეს სტუდენტური თვითმმართველობა!

არსებულ პრობლემებზე პასუხისმგებელი პირი, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, უნივერსიტეტის რექტორია. თუმცა, აღნიშნულ სიტუაციაში აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას თანამდებობიდან გადაყენება არასწორად მიგვაჩნია. ეს აუცილებლად გამოიწვევს დამატებით დესტაბილიზაციას. ვფიქრობთ, ვლადიმერ პაპავას გადადგომა არ არის ერთადერთი გამოსავალი. რექტორი აქციის დაწყების პირველივე დღიდან აქტიურად იყო ჩართული სტუდენტებთან დიალოგში და ცდილობდა დაძაბული ფონის მოხსნას, სიტუაციის განმუხტვას, რაც მის თითოეულ განცხადებაში კარგად გამოჩნდა. აქვე ვიტყვით, რომ ბოლო პერიოდში „გის ჯგუფის“ წევრები არაერთხელ შევხვდით ბატონ ვლადიმერს და არც ერთ შემთხვევაში არ გვქონია მასთან კომუნიკაციის პრობლემა.

ადრეც განვაცხადეთ და ვიმეორებთ, ნებისმიერი კონფლიქტური სიტუაცია უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების მაგიდასთან, ისე, როგორც უნივერსიტეტს შეშვენის. აუცილებელია პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაჭრა, რათა თავიდან ავირიდოთ ახალგაზრდებს შორის დაპირისპირება“, — ნათქვამია „გის ჯგუფის“ განცხადებაში.

თვითმმართველობა აკადემიურ საბჭოს შეხვდა

18 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური საბჭოს წევრებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა. საბჭოს სხდომაზე თვითმმართველობის მიერ რექტორის გადადგომასთან დაკავშირებული ძირითადი მოთხოვნის შესახებ ისაუბრეს. თვითმმართველობის პრეზიდენტის განცხადებით, შეხვედრაზე მათ მიერ კონკრეტული არგუმენტები იქნა წარმოდგენილი, თუ რატომ უნდა მოხდეს რექტორის მოვალეობის ვადაზე ადრე შეწყვეტა. თვითმმართველობის წარმომადგენლები ძირითად ორ მიმართულებას გამოყოფენ, რომელიც, მათი აზრით, შეიძლება გახდეს საფუძველი აკადემიური საბჭოსთვის, რომ მათ დაიწყონ რექტორის იმპიჩმენტის პროცესი. თვითმმართველობის პრეზიდენტის განცხადებით, პირველი მიმართულება რექტორის მიერ ჯეროვნად ვერ შესრულებული სამუშაოა, რომელიც წარმომადგენლობითი ორგანოს — სენატის სხდომის ჩატარების ვერ უზრუნველყოფას ეხება, ხოლო მეორე მიმართულება უნივერსიტეტში ე.წ. „ოდეერის“ ინსტიტუტის არსებობაა, რომელიც, შალვა საბაურის განცხადებით, კანონით აკრძალულია სასწავლო დაწესებულებაში და თუ რექტორმა ამის შესახებ იცოდა, მას ეს ინფორმაცია შესაბამისი სტრუქტურებისთვის დროულად უნდა მიეწოდებინა.

„ჩვენ შევთავაზეთ აკადემიურ საბჭოს სამართლებრივი გეგმა-გამოსავალი. უნივერსიტეტის საზოგადოებაში გავრცელდა ასეთი აზრი, რომ რექტორის წასვლის შემდეგ უნივერსიტეტი შედის ჩიხში, ვინაიდან სანამ მოვალეობის შემსრულებელი იქნება არჩეული, უნივერსიტეტს არ ეყოლება მმართველი, იმ პირობებში, როცა არ გვყავს კანცლერი. ჩვენ შევთავაზეთ გამოსავალი, რომლის მიხედვითაც, რექტორი აანონსებს გარკვეულ პერიოდში წასვლას და ამ პერიოდში ხდება მოვალეობის შემსრულებლის არჩევა, რის შემდეგაც რექტორი დატოვებს თავის პოსტს“, — აღნიშნა შეხვედრის დასრულების შემდეგ თვითმმართველობის პრეზიდენტმა.

სხდომას ესწრებოდა აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, რომელმაც შეხვედრაზე განხილული მთავარი საკითხი შეაფასა: „აღნიშნული შეხვედრა თვითმმართველობის მოთხოვნით შედგა, განვიხილეთ სხვადასხვა საკითხი. მთავარი მოთხოვნა ისევ რექტორის გადადგომაა. მე მზად ვარ ამ პროცესისთვის, მომხრე ვარ შესწავლილ იქნეს რექტორის საქმიანობა“.

აკადემიური საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ საბჭოს გადაწყვეტილება გახმოვანდა, რომლის მიხედვითაც თვითმმართველობამ თავისი არგუმენტები ერთი კვირის ვადაში დოკუმენტურად უნდა წარმოადგინოს, საბჭოს წარმომადგენლების განცხადებით სწორედ ამის შემდეგ გადაწყვეტს საბჭო, განიხილოს თუ არა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის იმპიჩმენტის საკითხი.

აკადემიური საბჭოს წევრის რამაზ ქურდაძის განცხადებით, რექტორის მოვალეობის ვადამდე შეწყვეტის საკითხი დაისვა 16 მარტის აკადემიური საბჭოს სხდომაზეც და შესწავლის პროცესი დაწყებულია. „მიმდინარეობს მოკვლევა და კონკრეტული საფუძვლების გარკვევა. ამას სჭირდება დრო. ჩაერთვებიან შესაბამისი სამსახურები და, რაც მთავარია, ეს საქმიანობა წარიმართება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით“, — აღნიშნა მან.

თსუ-ის აკადემიური საბჭოს მიმართვა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის შემდგომი სტაბილიზაციისა და უნივერსიტეტის ფუნდამენტური პრინციპების დაცვა-განმტკიცებისთვის აკადემიური საბჭო მიმართვას ავრცელებს:

„უნივერსიტეტსა და, ზოგადად, აკადემიურ სივრცეში დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრედიტაცია, მათ შორის სრულიად მიუღებელია სიძულვილის ენის გამოყენება, რაც ვითარების დაძაბვას უწყობს ხელს.

ზემოთქმულის შესაბამისად, თსუ აკადემიური საბჭო მოუწოდებს პროფესორ-მასწავლებლებს, სტუდენტებს და ადმინისტრაციის წარმომადგენლებს თავი შეიკავონ სიძულვილის ენისა და ჰომოფობიური განცხადებების გამოყენებებისგან. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ეთიკური და დისციპლინური ნორმების დარღვევის გამო დაედებათ შესაბამისი პასუხისმგებლობა.

უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა და ადმინისტრაციულმა პერსონალმა თავად უნდა მისცენ სტუდენტობას ერთიანობის მაგალითი, რათა მოიხსნას დაპირისპირება.

პატრიარქმა უნივერსიტეტს მაცხოვრის ხატი გადასცა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მაცხოვრის ხატი გადასცა. კათოლიკოს-პატრიარქის თქმით, ეს ხატი იქნება „მფარველი პროფესორ-მასწავლებლების, სტუდენტებისა და ყველასი, ვინც სწავლობდა და სწავლობს უნივერსიტეტში“. თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ მადლობა გადაუხადა პატრიარქს იმ სიყვარულისთვის და მზრუნველობისთვის, რომელსაც პატრიარქი იჩენს უნივერსიტეტის, სტუდენტების და პროფესორების მიმართ.

კახაბერ ჭეიშვილი: ნულარ შეარცხვენთ უნივერსიტეტს!

თამარ დადიანი

კანცლერის შერჩევის პროცედურებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საყოველთაო სტუდენტური მღელვარება და პროტესტი გამოიწვია. აკადემიური საბჭოს მხრიდან კანცლერის შერჩევის პროცედურები გააპროტესტა კანცლერობის ერთ-ერთმა კანდიდატმა, თსუ-ის ტურიზმის განვითარების ინსტიტუტის პროფესიული სწავლებისა და გადამზადების ცენტრის აწ უკვე ყოფილმა დირექტორმა, ფილოლოგიის დოქტორმა კახაბერ ჭეიშვილმა. 18 თებერვალს მან წერილით მიმართა თსუ-ის რექტორს, როგორც აკადემიური საბჭოს თავმჯდომარეს, დაეცვათ საქართველოს კანონმდებლობისა და თსუ-ის წესდების რეგულაციები და უკვე დასრულებული კონკურსის ფარგლებში კი არ მოეხდინათ კანცლერის კანდიდატის მეორადი შერჩევა, არამედ ახალი კონკურსი გამოეცხადებინათ.

კახაბერ ჭეიშვილი

კახაბერ ჭეიშვილის თქმით, სამწუხაროდ, აკადემიურმა საბჭომ არ გაითვალისწინა მის წერილში გამოთქმული მოსაზრებები. ამის მიზეზად იგი გარკვეული ჯგუფის ინტერესებს ასახელებს: „როგორც შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, ვფიქრობ, გარკვეული ჯგუფის ინტერესი იყო პროცესების ამგვარად წარმართვა. აქედან გამომდინარე, ჩემს წერილს მნიშვნელობა არ მიანიჭეს და მასში გამოთქმული შენიშვნები არ გაითვალისწინეს. ის, რაც მოხდა, სამწუხაროდ, იმ წლების ინერციაა, როცა ისეთ საკითხებს უყრიდნენ კენჭს, რომლებიც დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას და ასე იღებდნენ გადაწყვეტილებებს. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ უნივერსიტეტს მრავალი სასამართლო პროცესი აქვს წაგებული. აქედან კარგად ჩანს, თუ როგორ მუშაობს იურიდიული დეპარტამენტი და როგორ მუშაობს აკადემიური საბჭო. მე მათ მოვუწოდე, არ დაერღვიათ კანონი. ჩემი შენიშვნები რომ გაეთვალისწინებინათ, ვფიქრობ, პროცესი უფრო სამართლიანად და უმტკივნეულოდ წარიმართებოდა. პირველი ეტაპი, რომელიც იოსებ არჩვაძის შერჩევას უკავშირდებოდა, უკვე გადავლილი იყო. ახალი კონკურსის გამოცხადების შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა, მოვლენები გამჭვირვალედ, ლოგიკურად და მშვიდად განვითარებულიყო. როგორც ჩანს, იმ ჯგუფმა, რომელიც დაინტერესებული იყო გიორგი გაფრინდაშვილის არჩევით, დიდი ძალისხმევა გასწია საკმარისი ხმების მოსაგროვებლად და ამიტომ არ დაიხია უკან. ამან, თავის მხრივ, გამოიწვია დიდი საპროტესტო მოძრაობა. ჩემი აზრით კი არასწორად და უკანონოდ გაკეთებული საქმე არც უნივერსიტეტს წაადგება და არც არავის“, – აღნიშნა კახაბერ ჭეიშვილმა.

რექტორისა და აკადემიური საბჭოს მისამართით გაგზავნილ კახაბერ ჭეიშვილის 18 თებერვლის წერილზე თსუ-ის იურიდიულმა დეპარტამენტმა მოამზადა საპასუხო წერილი.

როგორც იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არჩილ კუკულავა აღნიშნავს, წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენილი კანდიდატის (იოსებ არჩვაძე) მიერ საკუთარი კანდიდატურის მოხსნით, ფაქტობრივად, ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ აკადემიურმა საბჭომ ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კანდიდატი ვერ გამოავლინა. „ეს გარემოება წარმოშობს დარჩენილ კანდიდატებს შორის კენჭისყრის ხელახლა ჩატარებას. შესაბამისად, ყველა ამ კანდიდატს, მათი კანონიერი ინტერესებისა და უფლებების დაცვის მიზნით, ხელახლა ეყარა კენჭი და გამოვლინდა ერთი გამარჯვებული კანდიდატი (აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის სხდომის №6 ოქმი). ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ხელახლა კენჭისყრის ჩატარება დარჩენილ კანდიდატებს შორის არ არის უცხო მოქმედი კანონმდებლობისთვის“, — ვკითხულობთ არჩილ კუკულავას საპასუხო წერილში.

კვაზი, სამართლებრივი თვალსაზრისით (და არა მხოლოდ) „უსუსური და სასაცილო“ უწოდა იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელის საპასუხო წერილს კახაბერ ჭეიშვილმა, რომელმაც ეს პასუხი საკუთარი facebook-ის გვერდზე გაასაჯაროვა: „დღეს, როდესაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასკვნის საფუძველზე ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა უნივერსიტეტის კანცლერის თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის მიმდინარეობისას დაშვებული რიგი გადაცდომების შესახებ, თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი პოზიცია კვლავ შევახსენო საზოგადოებას. ვფიქრობ, რომ თსუ აღარასდროს უნდა აღმოჩნდეს მსგავს უხერხულ სიტუაციაში, რაზეც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს არჩილ კუკულავას და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სხვა პირებს. სწორედ მათი არაკვალიფიციურობისა თუ მიკერძოების გამო ქვეყნის ნომერ პირველი უნივერსიტეტი, სამწუხაროდ, კანონმდებლობის დარღვევაშია შემჩნეული და დღეს ამაზე ძალიან ბევრი საუბრობს. გამკვირვებია აკადემიური საბჭოს წევრებისა, განსაკუთრებით, იურიდიული ფაკულტეტის ორი პროფესორის, რომლებმაც, როგორც ჩანს, სრულად გაიზიარეს თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის მახინჯი სამართლებრივი არგუმენტაცია. ეს ამბავი, თუკი გავითვალისწინებით ამ ორი იურისტის რეგალიებს, ძალიან დიდ კითხვებს ბადებს.

და მაინც, შორს რომ არ წავიდეთ, ყოველივე ზემოთქმული კიდევ ერთხელ მეტყველებს, რომ უნივერსიტეტში აუცილებელია სისტემური რეფორმის გატარება — დაწყებული აკადემიური საბჭოდან, დასრულებული ადმინისტრაციით. ნულარ შეარცხვენთ უნივერსიტეტს!“, – ასე ასრულებს facebook-ის სტატუსს კახაბერ ჭეიშვილი.

რა სიტყვიერი გაფრთხილება მისცეს უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორს განათლების სამინისტროდან გამოგზავნილ დასკვნაზე ინფორმაციის წინასწარ გავრცელების გამო?

დასკვნა 18 მარტს გასაჯაროვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროდან შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ თსუ-სთვის გამოგზავნილი დასკვნა თარიღდება 2016 წლის 16 მარტით. ამ დასკვნის სამინისტროდან გამოგზავნის შესახებ გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ ვებ-გვერდზე 16 მარტს აიტვირთა საგაზეთო მასალა (სტატიის სათაურია: „რას შეიცავს დასკვნა, რომელსაც თსუ სამინისტროდან ელის?“) განათლების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის წარმომადგენელთან ნათია პაპავასთან გადამოწმებული ინფორმაციის საფუძველზე. სტატიაში დასმული იყო აქცენტები: იყო თუ არა თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრთა მხრიდან დარღვევა კანცლერობის მეორე კანდიდატის შერჩევა ერთი და იმავე კონკურსის საფუძველზე? და კიდევ, რაც ყველაზე მეტად საგულისხმოა, სტატიაში დასმული იყო კითხვა: ვინ მოამზადა ის იურიდიული თუ სამართლებრივი დასაბუთება, რომელსაც დაეყრდნო აკადემიური საბჭო?

17 მარტს თსუ-ის აკადემიური საბჭოს სამდივნოში გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქტორს მისცეს სიტყვიერი გაფრთხილება, რომ დასკვნა, რომელიც სამინისტროდან უნივერსიტეტში ჯერ არ იყო მოსული, ამ შემთხვევაში არ ჰქონდა სტატიის ავტორს (ნინო კაკულიას) უნივერსიტეტის გაზეთის ვებ-გვერდზე მისი წინასწარ გამოქვეყნების უფლება და ასეთი „ზიანის მიყენების“ გამეორების შემთხვევაში აკადემიურმა საბჭომ შეიძლება დასვას გაზეთის რედაქტორის პასუხისმგებლობის საკითხი.



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

MES 7 16 00261589 16/03/2016

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს

გეგზავნებათ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების შედეგებზე შედგენილი დასკვნა.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე გეძლევათ მითითება ბათილად ცნოთ:

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის №5 სხდომის ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილება, არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისა და კანცლერის შერჩეული კანდიდატის სენატისადმი წარდგენის ბოლო ვადად 2016 წლის 23 თებერვლის განსაზღვრის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№20/2016 17/02/2016), ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე'' აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის №6 სხდომის ოქმში დაფიქსირებული აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარსადგენად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის შერჩევის გადაწყვეტილება;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№21/2016 19/02/2016), ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ'';

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსპექტირების შედეგებზე შედგენილი დასკვნა.

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევის საფუძველზე გეძლევათ მითითება ბათილად ცნოთ:

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 17 თებერვლის №5 სხდომის ოქმში დაფიქსირებული გადაწყვეტილება, არსებულ კანდიდატებს შორის ხელახალი კენჭისყრის პროცედურის ჩატარებისა და კანცლერის შერჩეული კანდიდატის სენატისადმი წარდგენის ბოლო ვადად 2016 წლის 23 თებერვლის განსაზღვრის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№20/2016 17/02/2016), „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2015 წლის 26 ოქტომბრის №109/2015 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 19 თებერვლის №6 სხდომის ოქმში დაფიქსირებული აკადემიური საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარსადგენად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის შერჩევის გადაწყვეტილება;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება (№21/2016 19/02/2016), „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“;

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წარდგინება (№2/03-01-14 22/02/2016), უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოსათვის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დასამტკიცებლად გიორგი გაფრინდაშვილის კანდიდატურის წარდგენის შესახებ.

ასევე, გეძლევათ მითითება, გაითვალისწინოთ დასკვნაში მითითებული დარღვევა შემდგომ საქმიანობაში და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარმოადგინოთ შიდა აუდიტის დეპარტამენტში ერთი თვის ვადაში. პატივისცემით, შიდა აუდიტის დეპარტამენტი, დეპარტამენტის უფროსი ალექსანდრე ონოფრიშვილი“.

„აუდიტორია 115“-ის აქტივისტთა საქმიანი შეხვედრა

19 მარტს „აუდიტორია 115“-ის აქტივისტებმა საქმიანი შეხვედრა განაახლეს. საერთო კრება მივიდა შემდეგ სამ გადაწყვეტილებამდე:

1) განათლების სამინისტროს აუდიტის დასკვნის მიხედვით, აშკარად იკვეთება თსუ-ის აკადემიური საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხი. საბჭომ კანონის უხეში დარღვევით წარადგინა მეორე კანდიდატი — გიორგი გაფრინდაშვილი — კანცლერის პოსტზე. უნივერსიტეტის სტრუქტურა ვალდებული იყო — ხელახლა გამოეცხადებინა კონკურსი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პოსტის დასაკავებლად. აქედან გამომდინარე, ჩვენ კიდევ ერთხელ ვაყენებთ დღის წესრიგში აკადემიური საბჭოს პასუხისმგებლობისა და დაშლის საკითხს. ჩვენ სრულად ვუჭერთ მხარს უნივერსიტეტის მართვის სისტემის რადიკალურ რეფორმირებას.

2) სტუდენტური პროტესტის დღეებში თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ჩვენ წინააღმდეგ არაეთიკური და ძალადობრივი მეთოდები გამოიყენეს. ამასთანავე, ისინი ამ დრომდე რჩებიან პრივილეგირებული სისტემის ნაწილად და უარს ამბობენ თავიანთი ელიტარული მდგომარეობის დათმობაზე.

თვითმმართველობის სისტემის ძირეული ცვლილების განხორციელებამდე ჩვენ, აღნიშნულ ორგანოს, არალეგიტიმურად მივიჩნევთ, არ განვიხილავთ მხარედ და უარს ვამბობთ მათთან თანამშრომლობაზე.

3) „აუდიტორია 115“ კონკრეტული ინიციატივების დამუშავებისა და მომზადების მიზნით ქმნის 4 ძირითად სამუშაო ჯგუფს. ჯგუფებში შემუშავებულ წინადადებებს საბოლოოდ აუდიტორიის საერთო კრება დაამტკიცებს.

რამდენად იღებს მონაწილეობას თსუ-ის ყოფილი კანცლერი დავით ჩომახიძე ლადო პაპავას წინააღმდეგ ინფორმაციის გავრცელებაში?

*დღეს ინტერნეტ-სივრცეში გავრცელდა ინფორმაცია მამა-შვილ მეტრეველებზე, რომლებიც თსუ-ის „კომპლექსური განვითარების ცენტრს“ უდგანან სათავეში. (სრულ ინფორმაციას ინტერვიუს ბოლოს შემოგთავაზებთ). ჩვენ კითხვით მივმართეთ ამ ცენტრის ხელმძღვანელს **ლევან მეტრეველს**, რომელმაც ინფორმაციის გამავრცელებლად ყოფილი კანცლერი დავით ჩომახიძე დაასახელა.*

ლევან მეტრეველი

დავით ჩომახიძე

— ინტერნეტში გავრცელდა თქვენსა და თქვენს შვილზე ინფორმაცია, რომ „ევრაზიის ინსტიტუტის“ ყოფილი წევრი ბრძანდებით და რექტორთან ლადო პაპავასთან მეგობრობის გამო გამოგიყვეს ოთახი თსუ-ის მერვე კორპუსში, სადაც „კომპლექსური განვითარების ცენტრს“ ხელმძღვანელობთ... ვინმე გებრძვით, ბატონო ლევან?

— ვფიქრობ, პირადად მე არა, მაგრამ ჩემს შვილს — ნიკოლოზ მეტრეველს — ებრძვიან მისი პოზიციის გამო, რომელიც მას დიდი ხანია დაფიქსირებული აქვს უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება ამ წერილის ავტორს, რაც ინტერნეტში გავრცელდა, ჩემთვის ცნობილია — იგი არის ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი რაიონული ორგანიზაციის ყოფილი ხელმძღვანელი.

— კონკრეტულად ვინ?

— იგი ჩვენი ყოფილი თანამშრომელია. უკვე ისე გამოდის, რომ პირდაპირ ვადებ ხელს, მაგრამ მანაც იცის და მეც ვიცი, რომ მისი დაწერილია ეს.

— იქნებ დაგვიკონკრეტოთ...

— დიდი ალბათობით ესაა ყოფილი კანცლერი დავით ჩომახიძე, რადგან მისი თანამოაზრეებისგან ვიცი ეს ყოველივე. ჩომახიძის თანამოაზრეები მოვიდნენ და ბოდიში მოგვიხადეს იმის გამო, თუ რას წერს და რას აკეთებს ჩომახიძის ხელმძღვანელობით თუნდაც სტუდენტური თვითმმართველობა.

— ვინ მოგიხადათ ბოდიში და რაზე?

— რაზე და იმ სიბინძურეებზე, რომლის დაწერაც სცადეს და რომლებიც არანაირად არ შეგვეხება და არც შეიძლება, რომ შეგვეხოს; იმაზე, რაც მანდ წერია, მე პასუხს ვერ გავცემ. ჩემი ჩატარებული კონფერენციები, ჩემ მიერ მიღწეული შედეგები ჩრდილო-კავკასიის თუ რუსეთის სხვა უნივერსიტეტებთან თავისთავად პასუხობს იმაზე, რაც გაკეთებული მაქვს. ვამაყობ, რაც გავაკეთე და ასევე გავაგრძელებ.

ინტერნეტ-სივრცეში გავრცელებული ინფორმაცია

გავრცელებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, როგორც სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი შალვა საბაური თავის ფეისბუქ-გვერდზე წერს, იგი კითხვებს დასვამს აკადემიური საბჭოს სხდომაზე ლადო პაპავას მისამართით. ცნობისთვის: for.ge აქვეყნებს სტატიას სათაურით: „პოლკოვნიკი კუბლაშვილი პაპავას დაქვემდებარებულ უწყებაში ე.წ. „ოდეერის“ როლს ასრულებდა“, რომელშიც ნათქვამია: „ლადო პაპავა, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტის რექტორი გახდა, აქტიურად შეუდგა თავისი პოზიციების გამყარებას უნივერსიტეტში და მისი ინტერესების მაქსიმალურად გატარების უზრუნველყოფის მიზნით, გადაწყვიტა თავისი სანდო კადრებით დაეკომპლექტებინა უნივერსიტეტი და ასეთ, ყველაზე სანდო კადრად მისი ცოლის ბიძაშვილი მიიჩნია, და იმთავითვე, სწორედ მისი ნათესავის მაღალ თანამდებობაზე დანიშვნა გადაწყვიტა.

TVfree-მ სანდო წყაროზე დაყრდნობით მოიპოვა ინფორმაცია, რომლის თანახმადაც პაპავამ მაშინდელ კანცლერს დაავალა თავის მრჩევლად დაენიშნა ოდიოზური ფიგურა, „კუდი“-ს ყოფილი მაღალჩინოსანი, კონკრეტულად კი სააკაშვილის შექმნილი ე.წ. „ოდეერების“ უფროსი, პოლკოვნიკი ზურაბ კუბლაშვილი (პავლოვიჩი), რომელიც სატელევიზიო ეთერით შინაგან საქმეთა მაშინდელმა მინისტრმა ივანე მერაბიშვილმა დაასახელა იგორ გიორგაძის მეგობრად, რომელმაც „გაყიდა“ გიორგაძე. როგორც წყარომ TVfree-ს განუცხადა, აღნიშნულ პიროვნებას, მისი ცოლის ბიძაშვილს, დღესაც ინარჩუნებს და ეყრდნობა ლადო პაპავა.

აღსანიშნავია, რომ პოლკოვნიკი კუბლაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროში მაღალ თანამდებობაზე, კერძოდ, გენერალური ინსპექციის უფროსის მოადგილედ მაშინ მუშაობდა, როცა აღნიშნულ დეპარტამენტს ჯერ ვასილ სანოძე, ხოლო შემდეგ თენგიზ გუნავა ხელმძღვანელობდა. ხელისუფლებაში ბიძინა ივანიშვილის მოსვლის შემდეგ პოლკოვნიკი კუბლაშვილი დათხოვნილი იქნა სამსახურიდან. რატომ აფარებს ხელს პაპავა “კუდი“-ს ყოფილ მაღალჩინოსანს და რა გადაფარა მან “ოდეერი“-ს თემით?!

მაშინ, როდესაც ლადო პაპავა 1994 წლიდან 2 000 წლამდე შევარდნაძის კორუმპირებული მთავრობის ეკონომიკის მინისტრი იყო, მისი ცოლის ბიძაშვილი, პოლკოვნიკი კუბლაშვილი პაპავას დაქვემდებარებულ უწყებაში ე.წ. „ოდეერის“ როლს ასრულებდა.

კუბლაშვილი ერთადერთი არ არის, რომელიც პაპავას მისი ინტერსების გატარებასა და უნივერსიტეტის ერთპიროვნულ მართვაში ეხმარება.

პაპავას, რომელიც აკადემიურმა საბჭომ აირჩია რექტორად, კარგად ესმის, რომ მისი ბედი ამ საბჭოს ხელთაა და აქედან გამომდინარე, თავიდანვე შეუდგა ამ აკადემიური საბჭოს წევრების უმრავლესობისთვის პრივილეგირებული პირობე-

მე-15 გვერდზე

რექტორის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის პროცედურა ოფიციალურად დაწყებულია

დაწყებულია რექტორის საქმიანობის შესწავლის პროცედურა და არა — „იმპიჩმენტი“. კენჭს უყრის თუ არა აკადემიური საბჭო რექტორის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტას, მოკვლევითი სამუშაოების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი. თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის წევრები და პროფესორთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები აკადემიური საბჭოს წევრებს კიდევ ერთხელ შეხვდნენ. თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ დაადასტურა, რომ ზურაბ კუბლაშვილი მისი მეუღლის ნათესავია.

21 მარტს თსუ-ის აკადემიური საბჭოს წევრებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა ოფიციალურად წარუდგინა ის არგუმენტები, რომელთა საფუძველზეც სტუდენტები რექტორის გადადგომას მოითხოვენ.

„იმპიჩმენტის პროცედურა ოფიციალურად დაწყებულია. რაც შეეხება დღეს გავრცელებულ ინფორმაციას, რექტორმა დაადასტურა, რომ კანცლერის თანაშეწე — ზურაბ კუბლაშვილი — მისი ცოლის ნათესავია. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ მანამდე ეს პიროვნება ძალოვან სტრუქტურებში მუშაობდა. უნივერსიტეტში კატასტროფული სიტუაციაა, ხვალ კიდევ ვისზე დაიდება ინფორმაცია, რომ „ოდეერია“, კაციშვილმა არ იცის. ჩვენ მოვუწოდეთ რექტორს, რომ მიეღო გონივრული გადაწყვეტილება და ნუ გააჭიანურებდა პროცესს. გამოთხოვნილი გვაქვს ინფორმაცია — რექტორის აპარატში დასაქმებული პირები რა რაოდენობის ხელფასს იღებენ. გვაქვს ცნობა, რომ ზოგიერთის ხელფასი პროფესორის ხელფასზე მეტია. ახლა ჯამურად დავითვლით — რა ჯდება რექტორის აპარატის შენახვა. თუ ვსაუბრობთ არამიზნობრივ ხარჯვაზე, ეს საკითხიც უნდა განვიხილოთ“, — განაცხადა აკადემიური საბჭოს წევრებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა.

შალვა საბაურმა, ასევე, აღნიშნა, რომ მცდარია ვლადიმერ პაპავას მიერ გამოთქმული მოსაზრება აღნიშნულ სიტუაციაში რექტორის გადადგომით უნივერსიტეტის ჩიხში შესვლის შესახებ. მისი ინფორმაციით, ეს აკადემიურ საბჭოში მყოფმა იურისტებმაც დაადასტურეს და რექტორის გადადგომის შემდეგ კანონით ყველაფერი დარეგულირებულია და თსუ ჩვეულებრივ რეჟიმში ფუნქციონირებას გააგრძელებს.

რაც შეეხება თსუ-ის რექტორის იმპიჩმენტს, აკადემიური საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ, აკადემიური საბჭოს წევრებმა და თსუ-ის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ აღნიშნეს, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდებაში სიტყვა – იმპიჩმენტი — ნახსენები არ არის. ჩანაწერი არსებობს რექტორის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შესახებ. სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე მოკვლევითი სამუშაოები დაწყებულია, რის შემდეგაც აკადემიური საბჭო კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვეტს — კენჭი უყაროს თუ არა რექტორის ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხს.

„დღეს შემოვიდა ოფიციალურად სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის ხელმოწერით დოკუმენტი, რომელშიც წამოყენებულია ის საკითხები, რასაც რექტორს ედავებიან. ტექსტს განიხილავს იურიდიული დეპარტამენტი, შემდეგ დასკვნა მსჯელობისთვის აკადემიურ საბჭოს გადაეცემა. ბუნებრივია, მე უნდა გავცე პასუხი, როგორც რექტორმა. ამ პროცესს დასჭირდება გარკვეული დრო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ოპერატიულ რეჟიმში განხორციელდება.

სტუდენტური თვითმმართველობის მიერ წარმოდგენილი არგუმენტების საფუძველზე მოკვლევითი სამუშაოები დაწყებულია, რის შემდეგაც აკადემიური საბჭო კენჭისყრის საფუძველზე გადაწყვეტს — კენჭი უყაროს თუ არა რექტორის ვადამდელი არჩევნების ჩატარების საკითხს.

ჩვენს კანონში რექტორის ვადამდე უფლებამოსილების შეწყვეტა წერია და ტერმინი — იმპიჩმენტი — გამოყენებული არ არის. ახლა რექტორის საქმიანობის შესწავლის პროცედურა მიმდინარეობს. საბოლოო ჯამში — რა გადაწყვეტილებას მიიღებს აკადემიური საბჭო — დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პასუხებს გასცემს რექტორი“, — განაცხადა თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ.

მე-12 გვერდზე

რექტორის ვადამდელი არჩევნების დანიშვნის პროცედურა ოფიციალურად დაწყებულია

მეთერთმეტე გვერდიდან

რექტორმა, ასევე, კომენტარი გააკეთა გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომელიც მისი ნათესავის ზურაბ კუბლაშვილის თსუ-ში დასაქმებასა და მის სამუშაო გამოცდილებას ეხება. ზურაბ კუბლაშვილი რომ ოფიციალურად მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეს დაადასტურა თსუ-ის პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმაც ნათელა ლაცაბიძემ.

„საქართველო პატარა ქვეყანაა, მცირე წრეა. ზურაბ კუბლაშვილი ნამდვილად არის ჩემი მეუღლის ნათესავი. იგი დასაქმებულია კანცლერის აპარატში და არის კანცლერის თანაშემწე. კონკრეტული ინფორმაცია მისი ფუნქციების შესახებ არ მაქვს. დარწმუნებული ვარ, რომ კანცლერის სამსახურიდან იქნება თუ კადრების დეპარტამენტიდან, თქვენ შესაბამის ინფორმაციას მიიღებთ. ვიცი, რომ იგი ადრე მუშაობდა უშიშროების უწყებაში, კონკრეტულად სად — არ ვიცი. ეს უწყება იმდენად ცვალებადია, რომ ნამდვილად არ მაქვს ეს ინფორმაცია“, — აღნიშნა ვლადიმერ პაპავამ.

ამავე დღეს აკადემიური საბჭოს წევრებს პროფესორთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენლები შეხვდნენ. მათ აკადემიურ საბჭოს თსუ-ში ვითარების გაუმჯობესებისთვის საჭირო ცვლილებების განხორციელება შესთავაზეს, შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე. როგორც პროფესორთა საინიციატივო ჯგუფის წევრმა დიანა ძიძიგურმა გვითხრა, მათი ხედვა და აკადემიური საბჭოს პოზიცია ერთმანეთს ემთხვევა.

„შევთანხმდით, რომ ცვლილებები უნდა შევიდეს უნივერსიტეტის წესდებაში და დაიწყოს აკადემიური საბჭოს რეფორმა. ახალი კანონის თანახმად, აკადემიურ საბჭოში შევლენ სამეცნიერო სტრუქტურების წარმომადგენლები და საბჭოში აკადემიური პერსონალის რაოდენობა გაიზრდება. ასევე, შევთანხმდით, რომ აუცილებლად გამოცხადდება კანცლერის ახალი კონკურსი. ასევე, შევთავაზეთ თსუ-ის ადმინისტრაციის აუდიტის ჩატარება, ადმინისტრაციული სტრუქტურის ინვენტარიზაცია. ვადასტურებ, რომ აღნიშნული საკითხების შესახებ აკადემიური საბჭოს პოზიცია ჩვენს პოზიციას ემთხვევა“, — განაცხადა დიანა ძიძიგურმა.

მოამზადა ნატო ოგოლაძემ

სტუდენტური თვითმმართველობის შეხვედრა რექტორთან

24 მარტს თსუ-ის რექტორსა და სტუდენტური თვითმმართველობის წევრებს შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც რექტორის მოადგილეები: დარეჯან თვალთვაძე, იოსებ სალუქვაძე და მერაბ ელიაშვილიც ესწრებოდნენ. დახურულ კარს მიღმა მთავარი განსახილველი საკითხი რექტორის აპარატის სახელფასო განაკვეთები და ფინანსური დანახარჯები იყო. საუბარი შეეხო ასევე ფაკულტეტებზე პროფესურის საკონტრაქტო პირობებსაც.

თამარ დადიანი

თვითმმართველობის წევრები რექტორატს თანხების გადაჭარბებით ხარჯვაში ადანაშაულებენ. როგორც ითქვა, რექტორის აპარატის შესანახად, წლის განმავლობაში, დაახლოებით, ნახევარი მილიონი ლარი იხარჯება და მათ სურდათ, ფინანსების განაწილებაზე დეტალური ინფორმაცია თავად რექტორისგან მიეღოთ.

თსუ-ის თვითმმართველობის პრეზიდენტმა შალვა საბაურმა შეხვედრაზე განაცხადა: „მიუხედავად იმისა, რომ რექტორმა უნივერსიტეტში „ოდეერის“ არსებობა დაადასტურა, ხოლო უნივერსიტეტში, როგორც საგანმანათლებლო ერთეულში, მსგავსი ინსტიტუტის არსებობა კანონდარღვევაა, მას არ გადაუდგამს კონკრეტული ნაბიჯები და დღემდე არ მიუწოდებია ინფორმაცია უშიშროების სამსახურისთვის, რომ „ოდეერები“ გაეწვიათ უნივერსიტეტიდან. აღნიშნულ საკითხზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და რექტორს პასუხისმგებლობა ეკისრებათ“.

მთავარი მოთხოვნა, რაც თვითმმართველობამ რექტორთან შეხვედრაზე დააყენა, არის რექტორის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი. თსუ-ის აკადემიური საბჭო ადასტურებს ინფორმაციას რექტორის ვადაზე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტის პროცედურის დაწყების შესახებ. თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს აკადემიური საბჭო, ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პასუხს გასცემს რექტორი თვითმმართველობის მიერ წამოყენებულ პრობლემებს.

შეხვედრაზე თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ის მოთხოვნებიც გააჟღერეს, რომელიც მანამდე აკადემიურ საბჭოს წარუდგინეს. თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ სტუდენტების ყველა შეკითხვას დასაბუთებულად უპასუხა, თუმცა თვითმმართველობის წევრები რექტორის პასუხებით მაინც უკმაყოფილონი დარჩნენ.

შეხვედრის შემდეგ თსუ-ის რექტორმა და თვითმმართველობის წევრებმა კომენტარები გააკეთეს.

ლადო პაპავა, თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი:

— შეხვედრაზე საუბარი იყო ყველა თემაზე, რომელიც დაკავშირებულია უნივერსიტეტის ფუნქციონირებასთან, კონკრეტულად კი რექტორის საქმიანობასთან. თვითმმართველობის მოთხოვნა ისევ უცვლელია — რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა. ჩემი პასუხი მარტივია — მე გადადგომას არ ვაპირებ, თუმცა აკადემიურ საბჭოს დაწყებული აქვს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის პროცედურა, რომელიც ფარული კენჭისყრით დასრულდება. რა თქმა უნდა, რექტორი ამ კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს და არც ამ სხდომას დაესწრება.

რაც შეეხება საუნივერსიტეტო თანხების ხარჯვას და განაწილებას: ჩვენი უნივერსიტეტი არის აბსოლუტურად გამჭვირვალე. ამას ადასტურებს ის სერტიფიკატიც, რომელიც გასული წლის ბოლოს მივიღეთ. უნივერსიტეტში გაწეული ნებისმიერი ხარჯი არის ნორმატიულად დასაბუთებული, ამიტომ საუბარი არამიზნობრიობაზე — გაუმართლებელია. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შარშან დაასრულა ჩვენი შემოწმება და მივესალმები, თუ უახლოეს ხანებში კვლავ შეისწავლის. ასევე მინდა განვაცხადო, რომ უნივერსიტეტმა სწორედ ადმინისტრაციული რესურსების ეკონომიის ხარჯზე მოახერხა პროგრამული სამეცნიერო კვლევითი თემების დაფინანსება, სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობაში ჩართვა, დოქტორანტების სწავლის საფასურის დაფარვა. ასე რომ, ძალიან ბევრი საკითხი სწორედ ადმინისტრაციის ხარჯების შემცირების გზით განხორციელდა. განსხვავებული პოზიციების მიუხედავად, იმედი მაქვს, რომ სტუდენტებთან ურთიერთობა და პრობლემების გადაჭრა ერთობლივად, დიალოგის რეჟიმში გაგრძელდება...

შალვა საბაური, თსუ-ის თვითმმართველობის პრეზიდენტი:

— შეხვედრაზე რექტორს ის დანახარჯები წარვუდგინეთ, რომელიც რექტორატის აპარატის შესანახად არის გათვალისწინებული. ეს წელიწადში 596 000 ლარს შეადგენს. ჩვენ ამ ხარჯის მიზნობრიობაც გვაინტერესებს.

გასარკვევია აგრეთვე რექტორის მოადგილის თანაშემწის, ვინმე ბაძაღუას საკითხიც, ვინ არის და რას აკეთებს იგი უნივერსიტეტში. როგორც მითხრეს, ძველი „კაგებეს“ თანამშრომელია. ცნობილი გახდა, რომ კანცლერის მრჩეველს, კუდ-ის „ოდეერების“ უფროს პოლკოვნიკ კუბლაშვილს თანამდებობა დღეს დაუტოვებია. რატომ დატოვა, თუკი არაფერს აშავებდა? ამაზე ხმას არავინ იღებს. დღეს ვერც ერთ ჩვენს შეკითხვაზე პასუხი ვერ მივიღეთ. სულ ცოტა ხნის წინ ახალი საკითხიც გამოიკვეთა: თურმე, სპეცკონტრაქტებით უნივერსიტეტში დასაქმებულია 200 თანამშრომელი, რომლებიც, რეალურად, პროფესორებზე მაღალ ხელფასებს იღებენ.

ჩვენ რექტორს პიროვნულად კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვაცხადებთ, რომ იგი თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. დღემდე არ არის აღკვეთილი „ოდეერის“ არსებობა უნივერსიტეტში, არადა, თავად დააფიქსირა ეს კანონდარღვევა. ამ დარღვევებზე პასუხისმგებლობას კი არავინ იღებს. რექტორთან ერთ-ერთ შეხვედრაზე ისიც გაჟღერდა, რომ თვითმმართველობის იმ წევრებს, რომლებმაც პროტესტის ნიშნად რექტორის კაბინეტი დაიკავეს, უნივერსიტეტიდან ხელებგადაგრეხილებს გაიყვანდნენ. მოვითხოვეთ იმ პირის დასახელება, ვინც ეს მოითხოვა, მაგრამ პასუხი ვერც ამ კითხვაზე მივიღეთ. ვითხოვთ რექტორის გადადგომას, რომელიც პასუხისმგებლობას ისევ და ისევ აკადემიურ საბჭოს აკისრებს. ჩვენ არ გავჩერდებით და ვეცდებით — ჩვენი პრინციპები ბოლომდე დავიცვათ. ორ თვეში თვითმმართველობის ახალი არჩევნებია და ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ვინც მოვა, ის ჩვენს დაწყებულ საქმეს გააგრძელებს.

რაც შეხება უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორის პოზიციას, არ არის სამართლიანი პოზიცია კანცლერობის კანდიდატის გიორგი გაფრინდაშვილის მიმართ. ქალბატონმა ნინო კაკულიამ განაცხადა, რომ გიორგი გაფრინდაშვილის არჩევა არასწორი გზით წარიმართა, მაშინ როცა აკადემიური საბჭო არ ეთანხმებოდა მეცნიერებისა და განათლების სამინისტროს პოზიციას, რომელმაც ბათილად ცნო თსუ-ის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები. ჩემი აზრით, მედია დაბალანსებულ ინფორმაციას უნდა აწვდიდეს საზოგადოებას.

გიორგი კაკაურიძე, თსუ-ის თვითმმართველობის ანალიტიკური დეპარტამენტის უფროსი:

— პროტესტის ნიშნად, შეხვედრა დავტოვე, რადგან მიმაჩნია, რომ, როგორც მისი მსგავსი წინა ოთხი შეხვედრა იყო სრულიად უშედეგო, ეს შეხვედრაც არაფრის მომტანია. გავაკეთე განცხადება და ვთხოვე რექტორს — დაეტოვებინა თანამდებობა, ხოლო უნივერსიტეტში მოღვაწეობა გაეგრძელებინა, როგორც პროფესორს. ვლადიმერ პაპავა არის ძალიან კარგი პროფესორი, თავისი საქმის პროფესიონალი, ღირსეული აკადემიკოსი და მე მას ამ კუთხით დიდ პატივს ვცემ. როცა რექტორი ამ ხნის განმავლობაში ვერ წყვეტს პრობლემებს და ვერ გვცემს პასუხებს, სჯობია თანამდებობა დატოვოს და საქმიანობა აკადემიურ სფეროში გააგრძელოს... მისი ჩანაცვლება მოხდება მოვალეობის შემსრულებლით. დღეს „აუდიტორია 115“-ის მოთხოვნაა, რომ დადგეს აკადემიური საბჭოს პასუხისმგებლობის საკითხი. ასევე აცხადებენ, რომ თუკი დადგება რექტორის გადაყენების საკითხი, ის აუცილებლად გონივრულ ვადებში უნდა მოხდეს. უკვე რამდენი წელია ბატონ რექტორს არსებულ პრობლემებზე ვესაუბრებით, მაგრამ საკითხები კვლავ გადაუჭრელია. რექტორი თავის პოზიციაზე მუშაობას ერთ წელიწადში ამთავრებს. შეუძლებელია ამ პერიოდში პრობლემების მთლიანად მოგვარება.

პაატა ბახტურიძე, თსუ-ის თვითმმართველობის ვიცე-პრეზიდენტი:

— იმედგაცრუებული ვარ, რადგან არც ერთი პრობლემა, რომელიც რექტორმა ადრე ჩაინიშნა, დღემდე არ მოგვარებულა. თუ როგორ წარიმართა უნივერსიტეტში კანცლერის არჩევნები, ეს ყველამ კარგად იცის. ან რას ნიშნავს „ოდეერების“ არსებობა უნივერსიტეტში, რომელიც დაძაბულობის დროს იპოვეს და რომელსაც, რატომღაც, მანამდე ვერ პოულობდნენ. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ერთი „ოდეერი“ კი გაწირეს, მაგრამ კუდ-ის პოლკოვნიკი — ვინმე ბაძაღუა — ისევ აქ ჰყოლიათ, რომელიც არავინ იცის — ვინ არის. უნივერსიტეტში მოღვაწეობენ ის ადამიანები, რომლებიც შემჩნეულნი არიან რუსეთის მხარდამჭერ პროექტებში. რა ხდება? ნუთუ რუსეთის სპეცსამსახურები გვანგრევენ? ამ დროს კი უნივერსიტეტში თვითმმართველობას ვებრძვით!

ბევრჯერ მოგვისმენია, რომ არსებული პრობლემების მოსაგვარებლად დგება კომისიები, ეს კომისიები თვეობით მუშაობენ, მაგრამ უშედეგოდ. ამიტომ უნდა გადადგეს რექტორი და ავირჩიოთ ახალი რექტორის მოვალეობის შემსრულებელი, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს არჩევნებს. აკადემიურმა საბჭომ პროკურატურასთან ერთად იმ პირების საქმიანობის მოძიება უნდა დაიწყოს, ვისაც უშიშროებასთან დღემდე რაიმე კავშირი აქვს, ან ახლო წარსულში ჰქონია. სამწუხაროდ, ეს დღეს არ კეთდება. აუცილებელია უნივერსიტეტის რექტორმა და აკადემიურმა საბჭომ პასუხისმგებლობა აიღონ. თუ ეს ასე არ მოხდა, ისევ ჩაიშლება სასწავლო პროცესი და შიმშილობას დაიწყებს უკვე 100 სტუდენტი. ჩვენ ნამდვილად არ გვინდა — პროცესები ასე წარიმართოს.

P.S. როგორც უნივერსიტეტის გაზეთის რედაქტორი ნინო კაკულია განმარტავს, მას გაზეთის საშუალებით არსად დაუფიქსირებია ის პოზიცია, რომ გიორგი გაფრინდაშვილის შერჩევა არასწორი გზით წარიმართა. „როდესაც გაზეთისთვის ინფორმაცია მოვამზადეთ, ჩვენ კითხვები დავსვით — იყო თუ არა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებები კანონდარღვევა? — ეს შეკითხვა არ ნიშნავს, რომ გაზეთი დაბალანსებულ ინფორმაციას არ აწვდის საზოგადოებას. ჟურნალისტი იმისთვისაა, რომ კითხვები დასვას. უნივერსიტეტის გაზეთში ყველას პოზიცია და მოთხოვნა თანაბრადაა გაშუქებული“, — ამბობს ნინო კაკულია.

სახელმწიფოს არ უნდა, რომ რექტორის გადაყენებაში რაიმე როლი შეასრულოს

რაზე გააკეთა აქცენტი „მაესტროს ფაქტორში“ თამარ სანიკიძემ

მაგდა ანიკაშვილი:

— ქალბატონო თამარ, თქვენ საქმიანი შეხვედრა გამართეთ უნივერსიტეტის დაპირისპირებულ სტუდენტთა ჯგუფებთან. მათგან ინიციატივებს ელოდებით, თუმცა არის რაღაც საკითხები, რაზეც მოხდა შეთანხმება. ერთ-ერთი არის, ალბათ, თვითმმართველობის რეფორმირება, რაც იყო მთავარი მოთხოვნა სტუდენტების ერთი ჯგუფის მხრიდან. როგორ ფიქრობთ, უნდა გაუქმდეს ეს სისტემა? როგორ შეიძლება იგი რეფორმირდეს ისე, რომ არ მივიღოთ სახეშეცვლილი, მაგრამ კვლავ ძველი მოდელი?

თამარ სანიკიძე:

— ვფიქრობ, რომ წინ ძალიან მნიშვნელოვანი სამუშაო გველოდება. თქვენ სწორად აღნიშნეთ, რომ ვნებათაღელვა ჩაცხრა და გამოჩნდა ბევრი საკითხი და პრობლემა, რომელსაც, რეალურად, მოგვარება სჭირდება. არ შეიძლება თვითმმართველობა დაანახოთ ისე, როგორც, ზოგადად, ხედავს მას საზოგადოება. ამ სტრუქტურამაც გარკვეული წლების განმავლობაში სახე იცვალა და უკეთესი ფორმით ჩამოყალიბდა. ჩვენ დღეს ვსაუბრობთ იმაზე, რომ ეს არსებული სტრუქტურა კიდევ უფრო უკეთესი გავხადოთ და ამაზე თანხმდებიან სტუდენტები. საუბარი არის ძალიან კონკრეტულ საკითხებზე, როგორიც არის თანაბარუფლებიანობა, პირდაპირი არჩევნების წესი და ა.შ.

მე ველოდები ინიციატივას. ინიციატივები, ალბათ, მალე შემოვა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ინიციატივას ავტომატურად მივიღებთ. ჩვენ დავსხდებით სტუდენტებთან ერთად და გავაკეთებთ ძალიან კარგ ანალიზს, მოვაწყობთ საჯარო განხილვას თავად უნივერსიტეტშიც. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ პრინციპების დონეზე - რა გვინდა, რომ დაცული იყოს; მაგალითად ვისაუბრეთ იმაზე, რომ გვინდა თუ არა არსებობდეს საქართველოში უნიფიცირებული სისტემა, სადაც საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობა იქნება უზრუნველყოფილი. ვფიქრობ, რომ ამის საჭიროებაც არ არსებობს იქიდან გამომდინარე, რომ უნივერსიტეტები არის სხვადასხვა პროფილის, ახორციელებენ სხვადასხვა მიმართულებებს, არის თეატრალური მიმართულებები, სახელოვნებო მიმართულებები და ვფიქრობ, რომ ეს მოდელები აუცილებლად უნდა იყოს იმ სპეციფიკაზე მორგებული. ჩვენ რაზეც ვისაუბრეთ, არის ის, რომ კანონში გავაჩინოთ ის პრინციპები, რომელზეც შემდეგ უნივერსიტეტები შეძლებენ — ააგონ მათთვის სასურველი ფორმები.

მაგდა ანიკაშვილი:

— ბევრ ადამიანს ვესაუბრე თვითმმართველობასთან დაკავშირებით — მათ, ვისაც ჰქონდა გამოცდილება წარსულში

თამარ სანიკიძე

და შეხება ამ ინსტიტუტთან. პრინციპში, ყველა აღიარებს, რომ ყველა ხელისუფლების დროს თვითმმართველობაში გაწევრიანება იყო ერთგვარი კარიერული წინსვლის მექანიზმი და ეს იყო მმართველი ძალისთვის ახალი პოლიტიკური კადრების მოძებნის რეზერვი. ამ მთავარი პრობლემის შეცვლას როგორ აპირებთ? თვითმმართველობა არ უნდა იყოს ცდუნება სტუდენტებისთვის, რომ მათ ამ ორგანიზაციის საშუალებით მოძებნონ პოლიტიკისკენ მიმავალი გზა. ერთ-ერთი ინიციატივა „აუდიტორია 115“-ის წარმომადგენლებისა იყო ის, რომ თვითმმართველობას არ ჰქონდეს შეხება ფინანსებთან და თუ მათ ჩამოცილდება ეს კომპონენტი, ამ შემთხვევაში, იქ მივლენ ადამიანები, რომელთაც მართლაც რაიმეს შეცვლა ან გაუმჯობესება უნდათ უნივერსიტეტში და არა მოხვეჭა რაღაც კეთილდღეობის...

თამარ სანიკიძე:

— ძალიან ბევრი შეკითხვები დაისვა, მაგრამ შეკითხვებს პასუხებიც უნდა გაეცეს. ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც წინა პლანზე იყო წამოწეული, რომ თვითმმართველობას არ ჰქონდეს კავშირი ფინანსებთან. თვითმმართველობას მართლაც არ აქვს კავშირი ფინანსებთან, რეალურად ისინი არ განკარგავენ ბიუჯეტს. ვნებათაღელვა ჩაცხრა, გამოჩნდა რეალური პრობლემები, ხოლო რა საკითხებიც იყო, ის ნაწილობრივ მიიმალა, რადგან არ იყო აქტუალური. მიმაჩნია, რომ გადაჭარბებულად მოხდა დისკრედიტაცია იმ სტრუქტურის, რომელიც დღესდღეობით არსებობს.

რაც შეეხება ამ ახალგაზრდული თუ ადამიანური რესურსის გამოყენებას, როგორი სტრუქტურაც არ უნდა იყოს, მაინც ყველაფერი დამოკიდებულია ნებაზე. თუ სახელმწიფოს არ სურს ახალგაზრდების ასეთ საქმიანობაში გამოყენება, იგი მათ არ გამოიყენებს. დღევანდელ ხელისუფლებას ვერავინ დასდებს ბრალს იმაში, რომ ჩვენ რომელიმე ახალგაზრდა რაიმე საქმეში გამოვიყენეთ.

2014 წელს ჩატარდა თვითმმართველობის არჩევნები. საერთოდ არც გაგვიგია — როგორ ჩატარდა და უნივერსიტეტის რექტორი, მგონია, ისე აირჩია ჯავახიშვილის უნივერსიტეტმა, რომ საერთოდ არავინ ჩარეულა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ იყო მცდელობა ჩარევისა.

მეორე საკითხი, რომელზედაც გაკეთდა საჯარო განცხადება, ეს იყო საკითხი „ოდეერის“ შესახებ. ძალიან ვწუხვარ, რომ ეს განცხადება გაკეთდა. პირდაპირ ვამბობ, შესაძლებელია ეს არ დადასტურდეს, ან დადასტურდეს სრულიად სხვა სახით. ჯერჯერობით, უნივერსიტეტი ატარებს კვლევას. არ მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ კიდევ ისეთი განცხადება გავაკეთო, რომელიც საზოგადოებას შეიყვანს შეცდომაში. უნივერსიტეტი დაასრულებს შიდა მოკვლევას, საიდანაც ელემენტარული „საბუთები“ მაინც გამოჩნდება და რის საფუძველზეც შეიძლება არც არსებობდეს იქ „ოდეერი“. სახელმწიფომ გამოხატა ნება, რომ კანონმდებლობა შეცვლილიყო. 2015 წლის ნოემბერში შეიცვალა უკვე კანონი, შესაბამისად არსებობს დანიშვნის ძველი წესი და არსებობს დანიშვნის ახალი წესი. თუ არაფერი არ არსებობს — არც დანიშვნის წესი, არც ბრძანება, არც საბუთი — ეს ნიშნავს იმას, რომ იქ არაფორმალურად ხდებოდა ეს ყველაფერი. ეს უკვე ვის უნდა გაეკონტროლებინა, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ.

მაგდა ანიკაშვილი:

— გამოითქვა აზრი, რომ ეს პროცესები იყო პირდაპირ თუ ირიბად მხარდაჭერილი ხელისუფლების მიერ და სამიზნე ამ პროტესტისა იყო რექტორი. ამბობენ, რომ ხელისუფლებას აღარ მოსწონს და აღარ აწყობს ვლადიმერ პაპავა ამ თანამდებობაზე და იყო სურვილი — გადაეყენებინათ იგი. თქვენც არაერთხელ გააკეთეთ განცხადება იმის თაობაზე, რომ აკადემიური საბჭო ვერ გაექცევა რექტორის პასუხისმგებლობის საკითხს და ამის განხილვას. დღეს როგორ მიგაჩნიათ, უნდა გადადგეს რექტორი თუ ის უნდა დარჩეს თავის თანამდებობაზე?

თამარ სანიკიძე:

— არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავინახოთ პროცესები ისე, როგორც ახლა აღწერეთ. ბატონი ვლადიმერ პაპავა არც სახელმწიფოს აურჩევია და არც სახელმწიფო ფიქრობს, რომ მის გადაყენებაში რაიმე როლი შეასრულოს. მე ბატონ პაპავასთან, რამდენიმე წელია, ძალიან კარგად ვმუშაობ და ვთანამშრომლობ. ის, თუ რატომ უნდა განიხილოს აკადემიურმა საბჭომ მისი საქმე, გამომდინარეობს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორიდან. ეს პასუხისმგებლობა აიღეს სტუდენტებმა და სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს პასუხისმგებლობა ჩამოშორდეს სტუდენტს და აიღოს იმ ორგანომ, რომლის პირდაპირ მოვალეობაში შედის რექტორის არჩევაც და შემდეგ რექტორის გადაყენებაც. ამიტომ, ჩვენ არანაირად არ ვაპირებთ ამ პროცესებში ჩარევას. კიდევ ვიმეორებ, რომ არავინ ჩარეულა რექტორის არჩევნების პროცესში, რადგან უნივერსიტეტს ეგრძნო ის პასუხისმგებლობა, რომელიც ნებისმიერ ასეთ არჩევანს მოსდევს ხოლმე. არ ვფიქრობ, რომ ბატონი ლადო პაპავა ფიქრობს იმას, რომ ჩვენ რაღაცნაირად ვცდილობთ ამ პროცესებს ხელი შევუწყოთ ან პირიქით — წავახალისოთ საბჭო, რომ მაინცდამაინც ისეთი გადაწყვეტილება მიიღოს, რომლის შედეგადაც ბატონი ლადო დატოვებს პოზიციას. არამც და არამც! კონკრეტულ პრეტენზიებს მხოლოდ იმიტომ სჭირდება განხილვა, რომ ეს კითხვის ნიშნები მოშორდეს, რათა სტუდენტების მხრიდან ეს ვნებათაღელვა ჩაცხრეს. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს — რა პროცესებთან გვქონდა საქმე (ფიზიკურ დაპირისპირებას ვგულისხმობ), რაც, ვფიქრობ, უნივერსიტეტისთვისაც და სახელმწიფოსთვისაც მიუღებელი უნდა იყოს.

მაგდა ანიკაშვილი:

— მე ასე მესმის, რომ ამ პროცესებს ვერ გაუმკლავდა რექტორი. მისი რექტორობის დროს მოხდა ეს დაპირისპირება, რაც მან დაუშვა, მაგრამ ეს მისი მართვის სისუსტეზე მიანიშნებს?

თამარ სანიკიძე:

— ეს არის საკითხები, რომელზედაც აუცილებელია, რომ იმსჯელოს უნივერსიტეტმა და საბჭომ. სწორედ ამიტომ არ ვაკეთებ არც ანალიზს, არც მოწოდებას და ვცდილობ, დავრჩე ამ საკითხების გარეთ. მე უფრო მაინტერესებს სტუდენტებთან მუშაობა, რადგან მათი საკითხების მოგვარება, ნაწილობრივ, დაკავშირებული იქნება ჩვენთან და კანონმდებლობის ცვლილებებთან. დისკომფორტი, რომელიც დღეს აქვთ სტუდენტებს და რომელიც ასევე გახდა მიზეზი სტუდენტებს შორის დაპირისპირებისა, აუცილებლად უნდა შემცირდეს. თუ რამე შემიძლია გავაკეთო, რათა მომავალშიც იგივე არ მოხდეს, მე ამას აუცილებლად გავაკეთებ. იგივეს უნდა ფიქრობდეს საბჭო, იგივეს უნდა ფიქრობდეს რექტორი.

აკადემიურ საბჭოს უნდა მივცეთ საშუალება, რომ წყნარად, მშვიდად იმუშაოს, აწონ-დაწონოს ყველაფერი. ბატონი რექტორიც ჩართული იქნება ამ პროცესებში და უნივერსიტეტმა უნდა მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც იქნება სწორი და მართებული და რაც არ გამოიწვევს იგივე პროცესებს. დამეთანხმებით, ეს არ იყო კარგი პროცესები.

აკადემიური საბჭო კანცლერის შესარჩევად ახალი კონკურსის გამოცხადებას აანონსებს

ინტერვიუ აკადემიური საბჭოს წევრთან მაია კოპალეიშვილთან

— განათლების სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნაში აღნიშნულია, რომ იურიდიული დასაბუთება, რომელიც მომზადდა და რომელსაც დაეყრდნო აკადემიური საბჭო, შეიცავდა ხარვეზებს და იყო კანონსაწინააღმდეგო, ასევე, მოცემულია მითითებებიც, რომლებიც წარედგინა საბჭოს. ეთანხმებით თუ არა ამ მითითებებს? რას მოიცავს განათლების სამინისტროს დასკვნაზე აკადემიური საბჭოს პასუხი?

— 2016 წლის 23 მარტს აკადემიურმა საბჭომ მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნის საპასუხო დასკვნა, რომელიც გაეგზავნა სამინისტროს. აკადემიური საბჭო არ იზიარებს სამინისტროს შიდა აუდიტის

მაია კოპალეიშვილი

დეპარტამენტის დასკვნის როგორც შინაარსობრივ შეფასებებს, ასევე, ამავე დასკვნის დასკვნით ნაწილში უნივერსიტეტის მიმართ გაცემულ დავალებებს. აკადემიური საბჭო ეთანხმება მის ადრე მიღებულ გადაწყვეტილებას — ის არ იყო შეზღუდული იმ შესაძლებლობით, რომ კონკურსის საფუძველზე დარეგისტრირებულ პრეტენდენტთა წრიდან კიდევ ერთხელ/ხელახლა ემსჯელა თითოეულ კანდიდატზე, სენატისთვის წარსადგენი კანდიდატის შერჩევის მიზნით. აკადემიური საბჭოს საპასუხო დასკვნაში წარმოდგენილია სამართლებრივი არგუმენტაცია, დასაბუთება იმისა, რომ უნივერსიტეტს, განსახილველ შემთხვევაში, საკითხის ამ სახით მოწესრიგების სრული უფლებამოსილება ჰქონდა და, შესაბამისად, სახეზე არ არის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი.

რაც შეეხება უნივერსიტეტისადმი ე.წ. მითითებებს,არ ვეთანხმებით. ბუნებრივია, ჩვენ გვერდს ვერ ავუვლით სამინისტროს უფლებამოსილებას კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით განახორციელოს კონტროლი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე. თუმცა, სამინისტროს შიდა აუდიტის მითითება უნდა ყოფილიყო არაუმეტეს სარეკომენდაციო დატვირთვის, რაც უნივერსიტეტს, როგორც ავტონომიურობის ფარგლებში მოქმედ დაწესებულებას, დაუტოვებდა ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი შესაძლო დარღვევე-

მე-14 გვერდზე

აკადემიური საბჭო კანცლერის შესარჩევად ახალი კონკურსის გამოცხადებას აანონსებს

მეცამეტე გვერდიდან

ბის თაობაზე მსჯელობის და ამ მსჯელობის შედეგად მათი გაზიარების ან უარყოფის შესაძლებლობას. უფრო ვრცლად, ყველა აქტუალურ საკითხზე, დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ იხილონ თსუ-ის აკადემიური საბჭოს დასახელებული დასკვნა.

— მეორე შემთხვევაშიც ვერ მოხერხდა მეორედ შერჩეული კანდიდატის სენატამდე მიღწევა. წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა სტუდენტური პროტესტის გამო ჩაიშალა. ახლა რა გამოდის, ისევ დარჩენილი კანდიდატებიდან უნდა შეირჩეს კანცლერობის კანდიდატი?

— აკადემიური საბჭოს სხდომაზე ჩვენ ამაზეც ვისაუბრეთ და, ჩემი აზრით, არის რამდენიმე გარემოება, რომლებიც შეიძლება გამოვყოთ: იმ კანდიდატებმა, რომლებიც დარჩნენ, ყველასთვის ნათელია, რომ ხმები ვერ მოიპოვეს ვერც პირველი და ვერც მეორე კენჭისყრის დროს. ამდენად, გაუმართლებლად მიმაჩნია, რომ კვლავ ჩატარდეს მხოლოდ ამ კანდიდატებს შორის განმეორებითი კენჭისყრა. ამასთან, ვინაიდან ამ კონკურსმა აჩვენა, რომ რეალურად ხმები მიიღო 2-მა კანდიდატმა (არჩვაძე და გაფრინდაშვილი), ჩემი აზრით, არსებობს იმის აუცილებლობა, რომ ხელმეორედ გამოცხადდეს კონკურსი, რათა მეტმა კანდიდატმა შემოიტანოს განაცხადი. ამდენად, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი უნდა შეირჩეს ახალი კონკურსის საფუძველზე. ვფიქრობ, რომ კონკურსი გამოცხადდება ყველა შემთხვევაში, უბრალოდ ოფიციალური მხარეა მოსაწესრიგებელი. დაველოდოთ აკადემიური საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილებას.

გარდა ამისა, მინდა პასუხი გავცე იმ პირებს, რომლებმაც სამინისტროს დასკვნის გამოქვეყნების შემდეგ სრულიად უსაფუძვლოდ, საკითხში სრულყოფილად გარკვევის გარეშე, მიზანმიმართულად დაიწყეს უნივერსიტეტის იურიდიულ დეპარტამენტის გაკრიტიკება.

პირველ რიგში, აკადემიური საბჭოა პასუხისმგებელი მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე და მან საპასუხო დასკვნაში დასაბუთებული არგუმენტებით დაადასტურა, რომ ეთანხმება მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. საჯარო სივრცეში კომენტარების გაკეთებისას ყველამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი კრიტიკა მიმართოს არა ადმინისტრაციის თანამშრომლების (მათ შორის, იურიდიული დეპარტამენტის) მიმართ, არამედ უნივერსიტეტის იმ ორგანოების მიმართ, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებებს. ყველა დაინტერესებულმა პირმა უნდა გაითავისოს, რომ ერთი მხრივ, უნივერსიტეტის მართვის ორგანოებმა, მათმა წევრებმა, რექტორმა, პროფესურამ საკუთარი პასუხისმგებლობის ტვირთი ყველამ თვითონ უნდა ზიდოს და არ შეიძლება ამ ტვირთის უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლებზე, იურიდიულ დეპარტამენტზე გადაკისრება და მეორე მხრივ, დაუშვებელია ამ ორგანოთა, პირთა ნაცვლად ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის „პასუხის მოთხოვნა“, აგრესიის მათ მიმართ წარმართვა (თუმცა, მოგეხსენებათ, აგრესია არავის მხრიდან და არავის მიმართ არ შეიძლება გამართლებული იყოს. ხოლო, დასაბუთებული, არგუმენტირებული კრიტიკა პირიქით, ხელს უწყობს განვითარებას, პროცესების გაჯანსაღებას). უნივერსიტეტის ადმინისტრაციის თანამშრომლები, იურისტები იძლევიან რჩევებს, რეკომენდაციებს, წინადადებებს, მაგრამ გადაწყვეტილებებს იღებენ უფლებამოსილი პირები, რომლებიც თვითონ არიან პასუხისმგებელი საკუთარ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, ადმინისტრაციული პერსონალი, იურისტები უნდა იყვნენ დაცული. მათ უნდა მიეცეთ მშვიდ და უსაფრთხო გარემოში მუშაობის შესაძლებლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი თავს შეიკავებენ თავისუფლად კვალიფიციური აზრის გამოთქმისაგან, რჩევებისგან, რაც დააზარალებს ისევ უნივერსიტეტს.

მოამზადა ნინო კაკულიამ

თსუ-ის წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს აქვს სურვილი — დასვას საკითხი „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (შემდგომ ტექსტში — „კანონი“) გასათვალისწინებელ ცვლილებებთან დაკავშირებით.

აუცილებელია ხაზი გაესვას ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარ მართვის ორგანოსთან, დაწესებულების ხელმძღვანელისა და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარის — რექტორის (რექტორის მოვალეობის შემსრულებლის) არჩევის საკითხთან. კანონის 22-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **ირჩევს აკადემიური საბჭო** ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, მაგრამ არა უმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადისა.“ ხოლო, ამავე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად კი, „საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში **რექტორის მოვალეობის შემსრულებელს** ირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი**, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.“.

ჩვენი აზრით, კანონი შეიცავს სრულიად მიუღებელ და ალოგიკურ ჩანაწერს, იქიდან გამომდინარე, რომ დაწესებულების რექტორი, რომელიც აირჩევა წლების ვადით (თსუ-ის შემთხვევაში 4 წლით), აირჩევა აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც თსუ-ის შემთხვევაში შედგება ფაკულტეტებიდან არჩეული 14 წევრისგან, მაშინ როდესაც რექტორის მოვალეობის შემსრულებელი აირჩევა გარკვეული გარდამავალი პერიოდით (დაწესებულების რექტორის არჩევამდე პერიოდით, დროებით მოვალეობის შემსრულებლად) საარჩევნო კოლეგიის მიერ, რომელშიც შედიან დაწესებულების სამეცნიერო და აკადემიური თანამდებობის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, რაც, თსუ-ის შემთხვევაში, მასშტაბური არჩევნების ჩატარებას, კერძოდ კი, რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2000-მდე პირის მიერ არჩევას გულისხმობს (ამასთან, ჩვენი ინფორმაციით, ზემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებაში სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებშიც, დაახლოებით, იგივე მდგომარეობაა). ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ რექტორი, თსუ-ს შემთხვევაში, აირჩევა 14 პირის მიერ, ხოლო რექტორის მოვალეობის შემსრულებლის არჩევას კი ესაჭიროება ასობით პირის მიერ არჩევნებში ამომრჩევლის სტატუსით მონაწილეობის მიღება. თავისთავად, უფრო ლოგიკური და მისაღებია — ზემოხსენებული საკითხები იყოს რეგულირებული პირიქით — კერძოდ, რექტორი აირჩეოდეს აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირის მიერ, ხოლო რექტორის მოვალეობის შემსრულებელი — აკადემიური საბჭოს მიერ. შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონის 22-ე მუხლის მე-6 და მე-9 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

ა) „6. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – უმაღლესი საგანმანათლებლო **დაწესებულების ხელმძღვანელს** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **ირჩევს საარჩევნო კოლეგია**, რომლის შემადგენლობაში შედის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების **აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობის მქონე ყველა პირი**, რომლებსაც აქვთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი.“.

ბ) „9. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად **რექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ირჩევს აკადემიური საბჭო თავისი შემადგენლობიდან**, ფარული კენჭისყრით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით“.

წინადადებები პოსტდოქტორანტის არჩევის თემასთან დაკავშირებით

კანონის ამჟამინდელი რედაქციის მე-2 მუხლის „წ[6]“ ქვეპუნქტით განისაზღვრა, რომ პოსტდოქტორანტი არის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად, ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, საქმდება ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. აღნიშნული რედაქციით, პოსტდოქტორანტის ინსტიტუტის განმარტება და მისი დასაქმების წესი მისაღებია, თუმცა ამავე კანონის 371 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე **ირჩევს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო** ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ.“ პოსტდოქტორანტად (რომელიც დაქირავებული თანამშრომელია) მიმღები ორგანო (ხსენებული სამეცნიერო საბჭო) ყველა უნივერსიტეტში ყველა სამეცნიერო მიმართულებით არ არსებობს, იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა უნივერსიტეტს ყველა მიმართულებით არ აქვს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული. გამომდინარე აქედან, დგინდება, რომ პირის დასასაქმებლად (პოსტდოქტორანტად მისაღებად) აუცილებელია დამოუკიდებელი სამეცნიერო-ერთეულის არსებობა (და ამ ერთეულში სამეცნიერო საბჭოს არსებობა) ანდა მისი შექმნა არქონის შემთხვევაში (როგორც ერთეულის, ისე მისი სამეცნიერო საბჭოს), რაც, შესაძლოა ითქვას, რომ რეალობას მოკლებულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენი აზრით, აუცილებელია კანონის 37[1] მუხლის მე-3 პუნქტის შეცვლა იმ სახით, რომ მასში პოსტდოქტორანტის ამრჩევი ორგანო მითითებული არ იყოს და ეს საკითხი გადაწყვიტოს აკადემიური საბჭოს მიერ დასამტკიცებელმა კონკურსის წესმა. შედეგად პოსტდოქტორანტის მიღება შესაძლებელი იქნება, როგორც ფაკულტეტზე, ისე დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში. შესაბამისად, კანონის 371 მუხლის მე-3 პუნქტი, ჩვენი აზრით, უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით — **„3. პოსტდოქტორანტია პირი, რომელსაც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად არაუმეტეს 2 წლის ვადით, კონკურსის საფუძველზე აირჩევა ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში ან დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულში აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით. პოსტდოქტორანტად პირი შეიძლება აირჩეს მხოლოდ ერთხელ“.**

წინადადებები თანამდებობაზე პროფესორის უვადოდ არჩევასთან დაკავშირებით

კანონის ამჟამინდელი რედაქციის 35-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება

მე-15 გვერდზე

თსუ-ის წინადადებები საკანონმდებლო ცვლილებების თაობაზე

მეთოთხმეტე გვერდიდან

აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, **განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები** და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს. **პირი პროფესორის თანამდებობაზე უვადოდ აირჩევა.** პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით ატესტაციის გავლას.“ უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ნორმის შინაარსში მოცემულია პირის წარსული საქმიანობის შესაფასებლად სრულიად ბუნდოვანი და არაგაზომვადი კრიტერიუმი — „განსაკუთრებული პროფესიული ან/და სამეცნიერო მიღწევები“, რაც აზრთა აბსოლუტურ სხვადასხვაობას გამოიწვევს. შემდგომ ამისა უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ნორმა საკადრო როტაციის პრინციპს ზღუდავს, ვინაიდან ასეთ თანამდებობაზე არჩეული პირი მუდმივად (5 წელიწადში ერთხელ) უნდა აკმაყოფილებდეს გარკვეულ მინიმუმს, მაშინ როდესაც ამ მინიმუმზე გაცილებით მეტს შეიძლება აკმაყოფილებდეს სხვა — პერსპექტიული, სტატუსით ქვემდგომ აკადემიურ და სამეცნიერო თანამდებობებზე წლების განმავლობაში მომუშავე პირი, რომელსაც იმის შესაძლებლობაც არ მიეცემა, რომ კონკურსის პირობებში, კონკურენციის მხრივ დაამტკიცოს საკუთარი უპირატესობა. გასათვალისწინებელია, რომ უნივერსიტეტი პროფესორის უვადო კონტრაქტის არსებობის წინააღმდეგი არ არის, იმ განსხვავებით, რომ ამ თანამდებობისათვის უშვებს, როგორც უვადო, ისე ვადიანი კონტრაქტების არსებობის შესაძლებლობას, რაც გამყარებულია სათანადო დასაბუთებით (იხ. დანართი 1). შესაბამისად, კანონის პირველი პუნქტის ის ნაწილი, რომელიც არ ეხება სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, ჩამოყალიბებული უნდა იქნას შემდეგი სახით: **„1. პროფესორის თანამდებობაზე შეიძლება აირჩეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება, რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ პირობებს. პროფესორს შესაძლებელია გაუფორმდეს უვადო შრომითი ხელშეკრულება. პროფესორისათვის ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პირობებს ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. უვადო შრომითი ხელშეკრულების მქონე პროფესორი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ატესტაციის გავლას“.** ანალოგიური მიდგომა აუცილებლად მიგვაჩნია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ასევე ამ დაწესებულების ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარ-მეცნიერ თანამშრომელთან მიმართებაში და მიზანშეწონილია კანონის 37[2] მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით — **„2. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დაკავება დაწესებულების წესდებით განსაზღვრული ვადით შეუძლია პირს, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება და რომელიც აკმაყოფილებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განსაზღვრულ პირობებს. მთავარ მეცნიერ-თანამშრომელს შესაძლებელია გაუფორმდეს უვადო შრომითი ხელშეკრულება. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისთვის ვადიანი ან უვადო შრომითი ხელშეკრულების გაფორმების პირობებს ადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება. უვადო შრომითი ხელშეკრულების მქონე მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ატესტაციის გავლას“.**

წინადადებები დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს არჩევასთან დაკავშირებით

კანონის 292 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის მთავარი მეცნიერ-თანამშრომლები ქმნიან დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს“, რაც, ჩვენი აზრით, არამართებულია, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობით სხვადასხვა დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში მთავარი მეცნიერ-თანამშრომლების რაოდენობა განსხვავებულია (ზოგან ძალიან მცირეა, ზოგან კი დიდი) და ხსენებული ამ თანამდებობის მქონეთა სამეცნიერო საბჭოში შეყვანის ან შეყვანისგან თავის შეკავების გამო გამოიწვევს მათი რაოდენობის ხელოვნურ ცვალებადობას. სასურველია დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო შედგებოდეს არა მხოლოდ მთავარი მეცნიერ- თანამშრომლებისგან, არამედ არსებობდეს შესაძლებლობა, რომ მთავარ მეცნიერ- თანამშრომლებთან ერთად, სამეცნიერო საბჭოში შედიოდეს უფროსი მეცნიერ- თანამშრომელიც, რომელსაც უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით აირჩევს ინსტიტუტი. ხსენებულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია 292 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: **„1. დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭო აირჩევა დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის მიერ, მთავარი და უფროსი მეცნიერ-თანამშრომელთაგან, დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის დებულებით განსაზღვრული წესით. სამეცნიერო საბჭოს წევრთა ოდენობა და სამეცნიერო საბჭოს არჩევის პროცედურა მტკიცდება სამეცნიერო პერსონალის საერთო კრების მიერ“.**

საბაზო ინსტიტუციური დაფინანსების არსებობაზე

აქვე გვინდა დავძინოთ, რომ სასწავლო საქმიანობა და სამეცნიერო კვლევა უწყვეტი პროცესია და შედეგზეა ორიენტირებული, შესაბამისად, მისი მდგრადობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ მინიმალურ (საბაზო) დაფინანსებას, რაც ამ პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას უზრუნველყოფს. ამასთან, როგორც წესი, პროგრამული (საპროექტო) დაფინანსება და სწავლებისათვის განსაზღვრული საგრანტო დაფინანსება არ იძლევა უნივერსიტეტის უწყვეტი ფინანსირების გარანტიას და მხოლოდ მისი არსებობა არ წარმოადგენს სწავლებისა და მეცნიერების დაფინანსების მართებულ პრინციპს, მითუმეტეს, რომ სახელმწიფოს მიერ გრანტის სხვადასხვა სახეობებით დაფინანსებული სწავლის საფასური, დღეს არსებული სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, არასაკმარისია, განსაკუთრებით ისეთ მიმართულებებზე სწავლების დასაფინანსებლად, როგორიცაა მედიცინა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვა. შესაბამისად, სწავლებისა და სამეცნიერო კვლევითი პროცესის ხელშეწყობისა და განვითარებისათვის აუცილებლად მიგვაჩნია საბაზო, ინსტიტუციური დაფინანსების არსებობა. ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასურველია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონმა ასახოს გარკვეული სამომავლო სამართლებრივი საფუძვლები ამ მიმართულებით და მასში დაფიქსირებული იქნას, რომ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს გააჩნიათ გარკვეული სახეობის დაფინანსების წყაროები სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მათ შორის საბაზო (ინსტიტუციური) დაფინანსება, რომელიც გათვალისწინებული იქნება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2018 წლიდან, ხოლო საქართველოს მთავრობის მიერ კი შემუშავებული იქნას სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური დაფინანსების წესი. აქედან გამომდინარე, სასურველია კანონი ითვალისწინებდეს შემდგომ ჩანაწერებს: **„გარდა ამ კანონით განსაზღვრული დაფინანსების სახეობებისა, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ინსტიტუციური დაფინანსება, რომლის ოდენობა და გაცემის წესი დგინდება საქართველოს მთავრობის მიერ“**, ხოლო, სავარაუდოდ, კანონის გარდამავალ დებულებებში უნდა დაფიქსირდეს სამართლებრივი ნორმა იმის თაობაზე, რომ ზემოხსენებული დებულება ძალაში შედის 2018 წლიდან.

წინამდებარე მოსაზრება კანონში განსახორციელებელი ცვლილებების თაობაზე, უნივერსიტეტის რექტორის დავალებით, შედგენილია თსუ-ის იურიდიული დეპარტამენტის მიერ.

რამდენად იღებს მონაწილეობას თსუ-ის ყოფილი კანცლერი დავით ჩომახიძე ლადო პაპავას წინააღმდეგ ინფორმაციის გავრცელებაში?

მეთერთმეტე გვერდიდან

ბის შექმნას. ერთ-ერთი ასეთი გავლენიანი პროფესორი, რომელიც პაპავას ნდობით სარგებლობს და, შესაბამისად, გვერდით უდგას მას, ავთანდილ სილაგაძეა.

აღსანიშნავია, რომ პროფესორი სილაგაძეც შევარდნაძის მთავრობის წევრი გახლდათ და იმ დროს, როდესაც პაპავა ეკონომიკის სამინისტროს ხელმძღვანელობდა, სილაგაძე საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის მინისტრი იყო. ამ ორ ადამიანს ერთმანეთთან დიდი ხნის ახლო მეგობრობა აკავშირებთ. ეს რომ ასეა, ისიც ადასტურებს, რომ პაპავამ თავის დიდი ხნის მეგობარს, სილაგაძეს, რომელიც სხვათა შორის სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, 3 წლის განმავლობაში, უნივერსიტეტის პრორექტორი იყო, კათედრა შეუქმნა.

სილაგაძე, როგორც TVfree-ს წყარო ყვება, პროფესორ ლევან მეტრეველთან ერთად ერთ-ერთი ცენტრის ხელმძღვანელი იყო. მეტრეველი აქტიურად იყო ჩართული პაპავას სასარგებლოდ თავის შვილთან, ნიკოლოზთან ერთად იმ პროცესებში, რაც ბოლო პერიოდში უნივერსიტეტში მიმდინარეობდა.

მამა-შვილ ლევან და ნიკოლოზ მეტრეველებზე, რომლებიც თსუ-ის აქციების ორგანიზატორები იყვნენ, ცოტა ხნის წინათ გაზეთი „ვერსია“ წერდა.

გამოცემის ინფორმაციით, მამა-შვილი თვითმმართველობისა და კანცლერობის კანდიდატის, გიორგი გაფრინდაშვილის წინააღმდეგ მიმართული აქციების ორგანიზებაში არიან ჩართულები და ჯერ კიდევ თსუ-ის რექტორის საარჩევნო კამპანიის დროს აქტიურობდნენ.

„ნიკა მეტრეველი ჯერ კიდევ ალექსანდრე კვიტაშვილის გადაყენების მოთხოვნით მიმდინარე აქციებზეც ძალიან აქტიურობდა და როცა მიზეზით დავინტერესდით, განგვიმარტეს, რომ მამა – ლევან მეტრეველი, ვლადიმერ პაპავას ახლო მეგობარია. პრინციპში, არაფერია იმაში ცუდი, თუ მეგობარი მეგობარს მხარს დაუჭერს, თუმცა დღეს, უკვე ღიად საუბრობენ, რომ ამ მხარდაჭერის გამო მათ თსუ-ის მე-8 კორპუსში საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციისთვის საოფისე ფართი მიიღეს“, – წერს გამოცემა.

როგორც სტატიაშია აღნიშნული, ლევან მეტრეველი საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაცია „ევრაზიის ინსტიტუტის“ ყოფილი წევრია.

ლევან და ნიკოლოზ მეტრეველებმა 2013 წელს ჩამოაყალიბეს არასამთავრობო ორგანიზაცია „კომპლექსური განვითარების ცენტრი“, რომლის მიზანია სოციალურ-ეკონომიკურ, საერთაშორისო ურთიერთობების, სახელმწიფო უსაფრთხოების და რელიგიურ საკითხებზე კვლევების ჩატარება, კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა საქართველო-რუსეთის ურთიერთობებზე, რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასწავლებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა და სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების ორგანიზება.

„კომპლექსური განვითარების ცენტრი“ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოში რუსული პროპაგანდის და რუსული „რბილი ძალის“ პოლიტიკის კოორდინატორთან, მოსკოვის МГИМО-ს წარმომადგენელთან ნიკოლაი სილაევთან. მისი დაკვეთით აწყობს სემინარებს, კვლევებსა და სხვა მსგავს ღონისძიებებს. „კომპლექსური განვითარების ცენტრს“ 2013 წელს ნიკოლაი სილაევის დაკვეთით ჩატარებული აქვს შემდეგი თემატიკის კვლევები: საქართველოს მონაწილეობა სირიის კონფლიქტში; საქართველოში ახალგაზრდობის დამოკიდებულება მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ; თბილისელების დამოკიდებულება ქალაქ სოჭში ოლიმპიადის გამართვასთან დაკავშირებით და სხვა. 2013 წლის 23-27 აპრილს რუსეთის ქალაქ ვოლგოგრადში გაიმართა დიდი სამამულო ომისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ფორუმი, რომელშიც ასევე მიწვეულნი იყვნენ დსთ-ს ქვეყნებში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციები“, – აღნიშნულია სტატიაში“.

თვითმმართველობის წევრებმა შიმშილობა დაიწყეს

თამარ დადიანი

თსუ-ის რექტორის გადადგომის მოთხოვნით სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა 29 მარტს უნივერსიტეტის II კორპუსში შიმშილობა დაიწყეს. ეს გადაწყვეტილება მათ უნივერსიტეტის II კორპუსში გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე გააჟღერეს.

თვითმმართველობის წევრების განცხადებით, ისინი შიმშილობას იწყებენ იმის გამო, რომ ვლადიმერ პაპავამ დატოვოს თანამდებობა, რადგან მან სამწლიანი მმართველობის პერიოდში სტუდენტების მოთხოვნები არ დააკმაყოფილა. მათი განცხადებით, ლადო პაპავა უნივერსიტეტში ე.წ. „ოდეერის“ სამსახურს წლების განმავლობაში მფარველობდა და ამიტომ უნდა დატოვოს თანამდებობა.

აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ბახვა კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ისევ მუშაობენ „ოდეერები“, შევარდნაძის დროის მაღალჩინოსნები, რომლებიც იმ დროინდელი უშიშროების სამსახურის წარმომადგენლები არიან. მისი თქმით, ლადო პაპავას მოსვლის შემდეგ უნივერსიტეტში შევარდნაძის დროინდელი ძალოვანი პირების დამკვიდრებას აპროტესტებენ და ითხოვენ ძალოვანების მფარველი რექტორის ვადამდე ადრე უფლებამოსილების შეწყვეტას. ,,ეს ადამიანი შეგნებულად არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას უნივერსიტეტში მიმდინარე არც ერთ პროცესზე, სტუდენტები დაპირისპირებულ მხარეებად დაიყვნენ. მისი მხრიდან არც ერთი საუნივერსიტეტო პოლიტიკური ნაბიჯი არ განხორციელებულა, რომ სტუდენტების დაყოფა დაპირისპირებულ მხარეებად აღმოფხვრილიყო. მას არ გააჩნია არანაირი ნება უნივერსიტეტში არსებული ფონის დასამშვიდებლად. მან უნდა მიიღოს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — დაწეროს განცხადება და განცხადების საფუძველზე დატოვოს უნივერსიტეტი. მე და ჩემი მეგობრები თავს შევაკლავთ იმას, რომ აღდგეს უნივერსიტეტში სამართლიანობა, აღარ მოხდეს იმპორტი კონკრეტული პირების, რომლებიც ჩვენი ქვეყნის მანკიერ წარსულთან ასოცირდებიან", — განაცხადა ბახვა კვირიკაშვილმა.

აქციის კიდევ ერთი მონაწილის, დავით მაჭავარიანის აზრით, რექტორს არანაირი მორალური უფლება არ აქვს დარჩეს თანამდებობაზე და თავისი საქმიანობა გააგრძელოს. „ჩვენ ვიწყებთ შიმშილობას და, დარწმუნებული ვარ, უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებიც შემოგვიერთდებიან. ჩვენი პროტესტი მიმართულია უნივერსიტეტის საკეთილდღეოდ და ვიბრძოლებთ ბოლომდე, სანამ ჩვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება“, — აღნიშნა დავით მაჭავარიანმა.

მოძრაობა ,,აუდიტორია 115-მა” განცხადება გაავრცელა

29 მარტს 15^{00} საათზე შედგა მოძრაობა ,,აუდიტორია 115-ის“ საერთო კრება, რომელმაც 18^{00} საათზე საგანგებო განცხადება გაავრცელა. საერთო კრება შეჯერდა შემდეგ ძირითად საკითხებზე:

„1) კიდევ ერთხელ შევახსენებთ საზოგადოებას, რომ სტუდენტურ თვითმმართველობას არალეგიტიმურ ძალად მივიჩნევთ. ისინი სისტემის განადგურების პირას დგანან. თვითმმართველობის აქტივისტები უიმედოდ ცდილობენ ფსევდორადიკალური და პოპულისტური მოქმედებების საფუძველზე საკუთარი თავის გადარჩენას. ჩვენ ვიბრძვით სისტემური ცვლილებებისთვის, მათ შორის იმ სისტემის გარდაქმნისათვის, რომლის ნაწილადაც ისინი საკუთარ თავს განიხილავენ. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის მათ პოზიციებს არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. განათლების სამინისტროსგან ისედაც მიღებული გვაქვს პირობა სტუდენტთა წარმომადგენლობითი სტრუქტურის რადიკალური რეფორმირების შესახებ.

2) მოვითხოვთ უნივერსიტეტში გარდამავალი პერიოდის გამოცხადებას. გარდამავალი პერიოდის განმავლობაში კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ უნდა შეიცვალოს ის მუხლები, რომლებიც რექტორისა და აკადემიური საბჭოს არჩევის წესსა და დასახელებული კოლეგიალური ორგანოს წევრთა რაოდენობის საკითხს განსაზღვრავენ. ორ თვეში უნივერსიტეტში ახალი ინსტიტუტები ახალი წესებით უნდა ავირჩიოთ.

3) ჩვენი მოძრაობა ყურადღებას არ ამახვილებს მხოლოდ სისტემის გაუმართაობის პრობლემაზე. ვფიქრობთ, რომ უნდა დადგეს რიგი თანამდებობის პირების ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხიც. აკადემიური საბჭოს წევრებმა და რექტორმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ პოლიტიკური გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ სისტემური რეფორმის განხორციელებისთანავე გადადგებიან დაკავებული თანამდებობებიდან.

ჩვენი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ვიტოვებთ საერთო სტუდენტური გაფიცვის ორგანიზების უფლებას!“ — ნათქვამია განცხადებაში.

რექტორის პასუხი 29 მარტს დაწყებულ შიმშილობასთან დაკავშირებით

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი ლადო პაპავა

— თვითმმართველობის 7 წევრი დღეს იწყებს შიმშილობას თქვენი გადადგომის მოთხოვნით. რას აპირებთ?

— გულდასაწყვეტია, რომ ახალგაზრდები იწყებენ შიმშილს, რადგან აკადემიური საბჭოს მიერ დაწყებულია ლეგიტიმური პროცედურა და ვფიქრობ, რომ ეს პროცესი უნდა წარიმართოს ისე, როგორც არის განსაზღვრული კანონით და უნივერსიტეტის წესდებით. მე ვთხოვ ჩვენს სტუდენტებს, რომ თავი შეიკავონ შიმშილისგან. მესმის, რომ მათ აქვთ სერიოზული საპროტესტო განწყობა და კიდევ ერთხელ გამოვთქვამ მზაობას მათთან კომუნიკაციის.

— ასახელებენ ბაძაღუას და კიდევ სხვებსაც, რომლებიც უნივერსიტეტში დღეს მუშაობენ. „ოდეერის“ წარმომადგენლები არიან ეს პიროვნებები?

— ადამიანები შეიძლება ადრე მსახურობდნენ ორგანოებში, მაგრამ ესენი არიან თუ არა ე.წ. „ოდეერები“, ამის დამადასტურებელი არაფერი გვაქვს, ამიტომ ვერანაირ კომენტარს ვერ გავაკეთებ ამ ხსენებულ პირებთან დაკავშირებით. ასეთ

ინფორმაციას მე არ ვფლობ. ის, რომ ადამიანი მუშაობდა წლების წინ ორგანოებში, ეს შეიძლება იყოს ეჭვის საფუძველი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ეჭვისა.

— შევარდნაძის დროინდელი კადრებიც, როგორ ჩანს, თვითმმართველობისთვის მიუღებელია...

— ვერ გეტყვით, რას ნიშნავს მიუღებელია... უფროსი თაობის ადამიანები მოდიან შევარდნაძის დროიდან, შედარებით უფრო ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები კი მოდიან სააკაშვილის მმართველობის პერიოდიდან. არ მინდა, რომ ამ თაობებს შორის იყოს დაპირისპირება უნივერსიტეტში — ეს არის გაუმართლებელი! ამდენად, ასე თაობებად დაყოფას ნამდვილად არ მივესალმები.

— აპირებთ თუ არა გადადგომას, როგორც ამას თვითმმართველობის წევრები კვლავ ითხოვენ?

— ეს საკითხი დღეს არ შეიძლება განვიხილოთ მრავალ მიზეზთა გამო, უნივერსიტეტის ინტერესებიდან გამომდინარე.

— ისინი ამბობენ, რომ თუ რექტორი წავა, მოვალეობის შემსრულებელს აკადემიური საბჭო შეარჩევს. ასეთი რამ დასაშვებია?

— ასე მარტივად არ დგას საკითხი. შეიძლება ყოველთვის იპოვო გამოსავალი, მაგრამ არის პრინციპული საკითხი — უნივერსიტეტს აქვს გადასაწყვეტი მთელი რიგი საკითხები, მათ შორის, ავტორიზაციის, აკრედიტაციის, ასევე, კანცლერი გვყავს ასარჩევი, ასარჩევია აკადემიური საბჭოს წევრები, უნივერსიტეტის მმართველობა სამეცნიერო ინსტიტუტების წარმომადგენლებით უნდა გაფართოვდეს და ა.შ.. ასეთ ვითარებაში რექტორის გადადგომა, არ ვარ დარწმუნებული, რომ სასარგებლო იქნება და ამიტომ არ ვიღებ გადაწყვეტილებას გადადგომის შესახებ.

მოამზადა
ნინო კაკულიამ

აკადემიური საბჭო განათლების სამინისტროს დასკვნას არ ეთანხმება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დასკვნას არ ეთანხმება როგორც შეფასებით, ისე დასკვნით ნაწილში. საპასუხო დასკვნა, რომელიც საბჭომ 2016 წლის 18 მარტს მიიღო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს **თამარ სანიკიძეს** და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსს **ალექსანდრე ონოფრიშვილს** გაეგზავნა.

აკადემიური საბჭო კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საბჭოს მიერ 2016 წელს ჩატარებული კანცლერობის კანდიდატის შერჩევის პროცედურაში არ არის კანონმდებლობის დარღვევის ფაქტი და საბჭოს, მის მიერ მოყვანილი სამართლებრივი დასაბუთებიდან გამომდინარე, 2015 წლის **26 ოქტომბრის №109/2016** დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე დარეგისტრირებულ პრეტენდენტთა წრიდან კანდიდატის შერჩევის სრული უფლებამოსილება ჰქონდა. აკადემიური საბჭო არ ეთანხმება, ასევე, დასკვნის იმ შეფასებას, თითქოს აკადემიურმა საბჭომ დაარღვია კანდიდატურის წარდგენის ვადები.

როგორც აკადემიური საბჭოს საპასუხო წერილშია ნათქვამი, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტმა დასკვნა შეადგინა და უნივერსიტეტს გაუგზავნა თსუ-ს წერილობითი პოზიციის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება ადმინისტრაციული ორგანოს საკანონმდებლო ვალდებულებას – ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

აკადემიური საბჭო მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს, განიხილოს სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის 2016 წლის **16 მარტის №MES 7 16 00261589** კორესპონდენციისა და შიდა აუდიტის დეპარტამენტის **№1603161525** დასკვნის, როგორც კანონმდებლობასთან შესაბამისობის, ისე მათი მომზადებისა და გამოცემის კანონიერების საკითხი, მათი ბათილად ცნობის მიზნით.

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ეთერ ხარაიშვილი, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, გიორგი ჯაიანი, არსენ გვენეტაძე, მარიამ ცისკაძე, ნინო ჭალაგანიძე, ირმა რუხაძე

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-8 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 59 44